2653
ხუთშაბათი,
28 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2653
ხუთშაბათი
28 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—8 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 873.

26 ოქტომბერს, დილის 5 საათზე, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კონსტანტინე ივანეს ძე სელეზნიოვი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ყოველ თანამოსამსახურეთ განსვენებულის ქვრივი—ემილია ვიკენტის ასული და დედა—ნინო ეფრემის ასული სელეზნიოვები. პანაშვიდი გადახდილ იქნება 27 და 28 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე—ნიკოლოზის ქუჩა, № 78. გამოსვენება—პარასკევს, 29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. დაასაფლავებენ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—2)

ქ. ქუთაისში, შაბათს, 30 ოქტომბერს, გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი სოფიისის ეკკლესიაში

თავად იასონ აბაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ცოლი და შვილები. (3—361—2)

ქართული წარმოდგენა. „ტფილისის სობრანიე".
შაბათს, 30 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
I
პედაგოგები
კომედ. 3 მოქ., თხზ. ერნსტისა, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.
II
დარისპანის გასაჭირი
სცენები 1 მოქ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
რეჟისორი გ. აბაშიძე
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3—უ—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საოპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ვერტერი" ოპერა 4 მოქ., მუს. მასნესი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდ, პეტროვა-ზვანცევა, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, კომაროვი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
29 ოქტ.—„„ნერონი". გამგე ი. ა. კალლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ბ. ი. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ქამოიძე.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი, ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
ლ. ა. ხიდიშანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი ნ. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ბ. ა. ბიბილო.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ბ. მოსინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
ა. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ექ. ა. ხოჯოლმიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთ:
ა. გ. ხოჯოლმიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
დ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ-დღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ... ცალკე ოთახებით. კრავატები დღეში ღირს ... მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ... იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ... 34 B.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
იოანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ექიმი
ა. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს. ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154ა ტელეფონი № 825. (90—296—22)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—22)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—11)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ, წამლობა ელექტრონით.
... ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ძ. ნ. თოთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. [illegible], № 24, ათონაქის თავზე. (30—832—21)

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ხანძალი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქ., სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—5—30)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პროვინციელ მუშტრებს უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობ.
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ოქტომბერი

მუკდენი, 26 ოქტომბერი („რეიტერი"). გენერალმა რენენკამფმა მოხსენება გამოგზავნა 3 და 4 ოქტომბერს მომხდარ ბრძოლის შესახებ, რომლის შემდეგ იმან უკან დაიწია.—იაპონელები სუსტად მოქმედებენ, რუსები-კი განუწყვეტლივ ყუმბარებს ესვრიან იაპონელთა პოზიციებს.

ლოვიჩი, 26 ოქტომბერი. აქ თავ-მოყრილია შორეულ აღმოსავლეთში მიმავალი ჯარი. ელიან ხელმწიფე იმპერატორს, რომელსაც სურს ჯარს გამოემშვიდობოს. მცხოვრებლები სიხარულით ელიან საყვარელ ხელმწიფეს.

მუკდენი, 26 ოქტომბერი („რეიტერი"). 25 ოქტომბერს მთელ ფრონტზე ზარბაზნების სროლა იყო, დღეს დრო-გამოშვებით სროლა. ყოველ წუთს შეიძლება დაიწყოს ბრძოლა. როგორც რუსები, ისე იაპონელები მოპირდაპირის თავდასხმას ელიან.

შანხაი, 26 ოქტომბერი („რეიტერი"). აქაურ ინგლისელთა წრეებში ხმა გავრცელდა, პორტ-არტურთან იაპონელთა სამხედრო გემი ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა.

ლონდონი („რეიტერი"). ახალშენების მდივანმა ლიტლტონმა სიტყვა წარმოსთქვა ლიმინგტონში და გამოაცხადა, გაზეთებში გამოქვეყნებული ტექსტი ინგლის-რუსეთის შეთანხმების შესახებ ნამდვილი არ არის და ამიტომ მსჯელობა არ უნდა ვიქონიოთ შეთანხმების დადგენილებათა შესახებ, სანამ ოფიციალურ ტექსტს არ გამოაქვეყნებენ ამ მოკლე ხანში.

ლონდონი, 26 ოქტომბერი („რეიტერი"). ხვალ ან ხვალ-ზევით გამოსცემენ ახალ იაპონურ სესხს სულ 12 მილიონ გირვანქა სტერლინგისას; ფასი 90½—ა. სესხის ნახევარს ლონდონში გამოსცემენ, დანარჩენს კი—ნიუ-იორკში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ოქტომბერი

მუკდენი, 26 ოქტომბერი. უკანასკნელ ბრძოლების დროს მეტად ბევრი ხალხი დაიჭრა, რამაც დიდი შრომა მოითხოვა სამხედრო ექიმებისაგან. შედარებით ნაკლებად მოწყობილნი, ეს ექიმები მოვალენი არიან მუდამ თავიანთ ნაწილებში იყვნენ, ამიტომ ხშირად განსაცდელსაც მოელიან. რამდენიმე ექიმები იაპონელებმა ტყვედაც წაიყვანეს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ექიმი მთელი ოთხი დღე არ მოშორებია იმ ადგილს, სადაც ჭრილობებს უხვევდნენ. მუკდენთან მომხდარ ბრძოლაში დაჭრილთა უმრავლესობას ექიმებმა ჭრილობები შეუხვიეს სადგურზე, სადაც 29 სექტემბერს ექიმმა ხოლტმანმა მოაწყო შესახვევი ადგილი. პირველ დღესვე 3000 დაჭრილს შეუხვიეს ჭრილობა. ეს შესახვევი ადგილი დღემდეც არის და შედარებით კარგადაა მოწყობილი. იგი მცირე რაზმით დახმარებას უწევდა დაჭრილებს 8 ოქტომბრამდე. უმრავლესობა თოფისა და შრაპნელის ტყვიით არის დაჭრილი. თოფის ტყვიის ჭრილობა სუბუქია, შრაპნელისა-კი—მძიმე. უმრავლესობა დაჭრილი მარჯვენა ხელში იმ დროს, როდესაც თხრილიდან თოფის გასროლას აპირებდნენ.

ჩიფუ, 26 ოქტომბერი. გუშინ დილის შვიდ საათზე იაპონელებმა აიღეს ლიაოტეშანის პირდაპირ კიდედზენის გორაკის ქედი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ექვსის საათის ბრძოლის შემდეგ რუსები უკუგდებულ იქნენ ტრანშეებიდან. რუსებმა თავი შეაფარეს ფანიუშანის სიმაგრეს. ამ ჟამად იაპონელებს მტრედის ბუდის მხრიდან იერიში მიაქვთ ლიაოტეშანზე. ხმელეთით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მიდიან იერიშით.

ბერლინი, 26 ოქტომბერი. გაზეთ „ბერ. ტაგებლ."-ში დაბეჭდილია მუკდენიდან მიღებული შემდეგი დეპეშა: „საზამთროდ თითქმის ყველაფერი მომზადებულია. ჯარი უმეტეს ნაწილად დაბინავებულია სოფლებსა და თხრილებში და მხოლოდ მცირე ნაწილია კარვებში. დღისით ძალიან თბილა, მაგრამ ღამე ყინვები 10 გრადუსამდე აღის. ცუდის გზების მიუხედავად ავტომობილები დიდ სამსახურს უწევენ რუსებს. როგორც იაპონიის წყაროებიდანა სჩანს, იაპონელთა მთელი თავიანი ყურადღება პორტ-არტურში ოქროს გორის აღებას მიაქცევს თურმე".

ლონდონი, 26 ოქტომბერი. რუსის ცხრა ნახშირის გემი დუკარიდან ხანგგამაიეში მივიდა.

პეტერბურგი, 26 ოქტომბერი. რომ უფრო ნათლად გამოირკვეს ის ამბავი, რომელიც ჩრდილოეთ ზღვაში მოხდა რუსის ესკადრისა და მეთევზეთა შორის, რუსის მთავრობამ გადასწყვიტა, უხვად დააჯილდოვოს ისინი, ვინც ნამდვილ ცნობებს მიაწვდის ჩრდილოეთ ზღვაში მყოფ საეჭვო გემების შესახებ ან აცნობებს ისეთ რამეს, რაც საქმეს ნათელს მოჰფენს.

27 ოქტომბერი

პეტერბურგი, გენერალის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 26 ოქტომბერს: განთიადისას მტრის მოწინავე რაზმები წინ წამოვიდნენ, შევიწროვეს ჩვენი სადარაჯო რაზმი ჩანტან-ხენანის პირდაპირ; აღმოსავლეთის მხარეს დაიჭირეს სოფლები უტიაცი, ერტაიზი და ჰოუსენტუნი. სადარაჯო რაზმებს მიეშველა ცხენოსანი ჯარი, ისინი წინ წამოვიდნენ, ყუმბარები დაუშინეს, უკუაქციეს იაპონელები მათ მიერ დაჭერილ სოფლებიდან და ისევ დაიჭირეს სადარაჯო ადგილები. არმიის დანარჩენ ფრონტზე მთელი დღე სუსტი ზარბაზნის სროლა იყო, რომელმაც დაუშალა იაპონელებს თხრილებზე მუშაობა. 25 ოქტომბერს მოხალისეთა რაზმები ხვერავდნენ ადგილებს და მთელ ფრონტზე აწუხებდნენ იაპონელებს. 26 ოქტომბერს მტერთან შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა.

დანარჩენი დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკია ვედომოსტი"-ს მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. ამტკიცებს, მარშალ ოიამას ჯარი ნელ-ნელა წინ მიდის და რუსის არმიაზე იერიშის მიტანას აპირობსო. ბ-ნი ს. კ. სწერს: „პუტილოვის გორის" აღება მეტად გაზვიადა ზოგიერთმა სამხედრო მიმომხილველმა. ამ გორასთან რუსის ჯარმა შესანიშნავად გაიმარჯვაო, იწერებოდნენ კორესპონდენტები და თან არწმუნებდნენ, იაპონელები საჩქაროდ უკან იხევენო. ეხლა კორესპონდენტებმა კილო შესცვალეს და სულ სხვასა სწერენ: იაპონელებმა მეტად გაამაგრეს თავიანთი პოზიციები, ამ პოზიციების აღება ფრონტიდან შეუძლებელია და რუსის ჯარმა ნეტავ თავისი პოზიციები შეინარჩუნოს, თორემ იაპონელებზე იერიშს, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერ მიიტანსო. მართლაც და იაპონელები უკან დახევის მაგივრად წინ მოდიან და რუსის პოზიციებზე იერიში მოაქვთ. პირველად იერიში რუსებზე გენ. კუროკის არმიამ მიიტანა. გენ. სახაროვის დეპეშიდან სჩანს, რომ 12 ოქტომბერს დილით, იაპონიის ქვევითა ჯარს ორი გორა დაუჭერია, ერთის რუსის პოლკის სანგრებს ახლო. რუსის რაზმი იანსინტუნის სამხრეთით, სოფ. ბანიუპუზას პირდაპირ იდგა პოზიციაზე. რუსებს, სხვათა შორის, ერთი მაღალი გორა ეჭირათ მდ. შახეს მარცხენა ნაპირას, ეს გორა მაღლიდან დაჰყურებდა მდ. შახეს მარცხენა ნაპირს და ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც „პუტილოვის გორას". იაპონელებმა ამ გორას ზარბაზანი დაუშინეს, რუსის სიმაგრეები მიანგრ-მოანგრიეს და ბოლოს 14 ოქტომბერს იერიში მიიტანეს, ეს პოზიცია დაიჭირეს და ორი ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდეს ხელში. რუსებსაც და იაპონელებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ ამ ბრძოლის დროს. ამ გორის აღებას—იაპონელები ვაიტაშანის გორას ეძახიან—დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. გენ. კუროკის არმია მდ. შახეს გაღმა გადავიდა, სოფ. ბინიუპუზა დაიჭირა, მერე უფრო ზევით აცილა და რუსის ჯარს უანფუტლინის უღელტეხილთან დაეცა. ასე რომ გენ. კუროკის არმიამ წინ წაიწია და 15 ოქტომბერს გენ. ოკუსა და ნოძუს არმიებს გაუსწორდა".

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ბ-ნი ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ამ დღეებში დონის ყაზახთა სოტნამ ცხენ-და-ცხენ იერიში მიიტანა იაპონელების ბატარეაზე. სოტნა ბატარეას მიუახლოვდა, მაგრამ თხრილმა და ეკლიან მავთულის ღობემ შეაჩერა. სოტნას 36 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს; იერიშის დროს სოტნის ვახმისტრი ზედ შუაზე გაგლიჯა იაპონელების ყუმბარამ...

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი იუწყება: 16 ოქტომბერს დილით ადრე რუსის ორი ბატალიონი მდ. შახეს პირად მოდიოდა. იაპონელებმა ზარბაზანი დაუშინეს, ერთ ბატალიონს ორი 12—სანტიმეტრიანი ყუმბარა მოახვედრეს, რამდენიმე კაცი მოჰკლეს და დასჭრეს და სამი გაკაწრეს. ერთმა ყუმბარამ ისე ღრმად ამოთხარა მიწა, რომ ერთი სალდათი შიგ ჩავარდა და მიწაში დაიმალა, იმის გვერდზე მეორე სალდათი იქვე უსულოდ დაეცა, მესამე დამუნჯდა და დაყრუვდა, თუმცა ჯანად კარგადაა.

„რუსი"-ის კორესპონდენტი 20 ოქტომბერს დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ამ დღეებში ბრძოლა არ მომხდარა. რუსის სალდათები წინა პოზიციებზე დგანან და დიდ გაჭირვებაში არიან. ზოგიერთი რაზმი აგერ სრული 23 დღეა სანგრებში დგას. იცით რა არის სანგარი? იქ ან სულ უნდა იჯდეს კაცი, ან მოხრილი იდგეს, წელში ვერას დროს ვერ გასწორდება, მუდამ მტრის დაცემას ელის. დღისით ვერსად წავა, გასეირნება თუ, თორემ სიარული არ შეიძლება; პურს მხოლოდ ღამე სჭამენ. დაუმატეთ საშინელი სიცივე; სათბილობელი ტანისამოსი არა აქვთ, ცეცხლსაც მტრის შიშით, რასაკვირველია, ვერ აჩენენ.

იგივე კორესპონდენტი სწერს: ნამდვილად გავიგეთ, რომ იაპონელებს მალე 40—80 ათასი ახალი ჯარის-კაცი მოუვათო. ეს მეტად გაუძნელებს რუსის ჯარს საქმეს: იერიშის მიტანას დიდ ხანს ვერ შეიძლებს, ნეტავი თავის პოზიციების დაცვა მოახერხოს, თუ რასაკვირველია, საჩქაროდ დიდი მაშველი ჯარი არ მოუვა. მაგრამ მაშინაც-კი დიდ გაჭირვებაში იქნება რუსის მთავარსარდალი, რადგან იაპონელებმა მეტად ძლიერი სიმაგრეები ააგეს.

ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს „რუსკოე სლოვო"-ში: როგორც საქმეში ჩახედულ კაცს დეპეშით შემეკითხნენ, როდის გვონიათ, რამდენ ხანს გასტანს ომიო. წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ აქ მანჯურიაში დარწმუნებულნი არიან, რომ იქნება კიდევ სრული წელიწადი მოგვინდეს იაპონიასთან ბრძოლით. ის იმედი, ვითომ იაპონიას ფული და ჯარი გამოელევაო, არ გამართლდა. მუდამ ახალ-ახალი ჯარი მოჰყავს. მართალია ახლად მოყვანილ ჯარს უფრო ძველი თოფები და სპილენძის ტყვია აქვს დარიგებული, მაგრამ ახალი სალდათებიც კარგად გაწვრთნილი, აღფრთოვანებული და მამაცი ჯარია. მართალია იაპონელებსაც ბევრი აფიცერი დააკლდათ ბრძოლის დროს, მაგრამ იმათ უნტერ-აფიცრებს კარგად შეუძლიანთ უმცროს აფიცრების მაგიერობის გაწევა. რა თქმა უნდა, ჩვენ (რუსებს) რომ გაცილებით მეტი ჯარი გვყავდეს იაპონელებზე, ეხლავე მედგარ იერიშს მივიტანდით, მაგრამ ეხლა მეტი ჩარა არაა, ჯარს უნდა გავუფრთხილდეთ და თითონ იაპონელებს დავაცადოთ იერიშის მიტანა. მაშინაც იქნება ვფიქრობთ, რომ იაპონიას, როგორც აზიის სახელმწიფოს, მალე დაეკარგება ომის ხალისი. ჩვენ მედგარ, მხნე, განათლებულ ხალხთან, პირველ ხარისხოვან სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე. იაპონელ სალდათს მშვენივრად ესმის, რომ ამ ომს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის სამშობლოსათვის. იაპონელ სალდათისთანა სალდათი არც ერთ ევროპის სახელმწიფოს არა ჰყავს და ჩვენც არას დროს გვქონია ამისთანა მედგარ მტერთან საქმე, როგორიც იაპონიაა. ეს ომი, ალბად, ჯერ კიდევ ბევრ მსხვერპლსა და ხარჯს მოითხოვს ჩვენგან. დიდი მხნეობა და ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ. იაპონელები ნაბიჯს არა სდგამენ უანგარიშოდ. ეხლა იაპონიის ჯარმა შეისვენა, საზამთროდ მიწური სახლები დაიკეთა, სახლებში სტოლები, საწოლები და ფეჩები გაიმართა. საჭმელიც კარგი ეძლევა; მოკლულ იაპონელ სალდათებს ყოველთვის რიგიანი სურსათი ჰქონდათ ხოლმე ხელთ.

„ეკო დე პარი"-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: მანჯურიის სამ არმიაში რუსებს 150 ათასი კაცი ეყოლებათ თითოეულში. ეს არმიები დეკემბერში საბოლოოდ მოეწყობა, რუსის ჯარი მაშინ უფრო გაბედულად მოიქცევა და მედგარ იერიშს მიიტანს იაპონელებზეო. („რ. ლ.").

„დეილი ქრონიკლ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ნარვეგიის გემის კაპიტანმა შანხაიში მიამბო: ვლადივოსტოკიდან 13 ოქტომბერს გამოვედი. რუსის კრეისრები „გრომობოი" და „როსია" ნავთსადგურში დგანან, იმათ გარდა ნავთსადგურში სამი სხვა სამხედრო გემიცაა დგას. ნავთ-სადგურის შესავალი თითქმის გაყინულია. („ნ.").

„ეკო დე პარი"-ს კორესპონდენტს შეუტყვია, რუსეთის მთავრობა 1 მილიონ მანეთის გადახდას აპირობს დაზარალებულ ინგლისელ მეთევზეების სასარგებლოდაო. („რ.").

„დეილი ქრონიკლ"-ი სწერს: როცა რუსებმა 8 ოქტომბერს ინგლისელ მეთევზეებს ზარბაზანი დაუშინეს, 6 ყუმბარა თავიანთ საკუთარ გემებს მოახვედრესო. ერთი მღვდელი და ერთი მატროსი დასჭრეს, კრეისერი „ავრორა" დააზიანეს და ჯავშნიან გემ „ალექსანდრე III" ქვაბები დაუზიანდათ. („ნ. ვ.").

პორტ-არტური. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. კ. მოკლედ იხილავს გენ. ნოგის სამხედრო მოქმედებას პორტ-არტურთან 16 ოქტომბრამდე. ბ-ნი პ. კ. სწერს: „იაპონელებს აგვისტოდან იერიში უმთავრესად ჩრდილოეთის ფორტებზე იძიშანსა, ანძიშანსა, ერლუნშანსა და კიკუანზე მიაქვთ; აგვისტოს გასულს შუშინგისა და პალუნუანის წინა სიმაგრეები დაიჭირეს, რკინის გზის ორსავ მხარეს, ერლუნგშანის ფორტიდან 2—3 ვერსტზე, ჩრდილოეთით. სექტემბერმა შედარებით წყნარად ჩაიარა, მაგრამ სექტემბრის ნახევრიდან იაპონელებმა 11 დიუმიანი მორტირები (სალყუა, დიდი ზარბაზნები) მოიტანეს და უეჭველია ციხე და ციხის შუა გული ძლიერ დააზიანეს: ამ მორტირების ყუმბარა სიგძით სამ ფუტზე მეტია, სისქით (დიამეტრით) ერთი ფუტია, და ხუთ ფუთზე მეტს იწონის. აკი გენ. სტესელი თავის უკანასკნელ დეპეშებში მუდამ იხსენიებდა ამ ზარბაზნებს. ოქტომბრის დამდეგს ყველა უმთავრესი ფორტი მაინც ისევ რუსების ხელში იყო. ოქტომბრის პირველ კვირაში და მეტადრე 13 ოქტომბრიდან იაპონელებმა უმთავრესად რკინის გზის დასავლეთით სანგშუშანისა და რკინის გზის აღმოსავლეთით ერლუნგშანისა და კიკუანის ფორტებს დაუშინეს ზარბაზანი. გენ. ნოგის ოფიციალურ დეპეშებიდან სჩანს, რომ იაპონელებს 13 ოქტომბერს ფორტებზე რამდენიმე ზარბაზანი დაუზიანებიათ და ერლუნგშანის ბრუსტვერი (მიწის გალავანი) და რამდენიმე საფარი დაუნგრევიათ. აქ ყველაზე მეტი მნიშვნელობა ზარბაზნების დაზიანებასა და საფრების დანგრევასა აქვს, დანგრეულ მიწის გალავანს კი რუსები უფრო ადვილად ამოავსებდნენ მი-

წით გატენილ ტომრებით. რაკი საქმე კარგად წაუვიდათ, იაპონელები ორ რაზმად იერიშით წავიდნენ რუსის ფორტებისაკენ. ერთი რაზმი რკინის გზის დასავლეთით მიდიოდა, მეორე რკინის გზის აღმოსავლეთით. პირველი რაზმი სანგშუშანის ფორტისაკენ გაემართა, მეორე ერლუნგშანის ფორტისაკენ. ორსავე რაზმის იერიში გამარჯვებით დასრულდა: იაპონელებმა სანგშუშანისა და ერლუნგშანის წინა ტრანშეები და ზოგიერთი პოზიცია აიღეს. რუსებმა ყველა ფორტიდან ზარბაზანი დაუშინეს იაპონელებს და 13 ოქტომბერს ღამეს ერლუნგშანისა და სანგშუშანის ფორტებიდან იერიშიც მიიტანეს, უნდოდათ იაპონელებისათვის ხელი შეეშალათ, რომ ახალ პოზიციებზე ვერ გამაგრებულიყვნენ; მაგრამ იაპონელებმა უკუ აგდეს რუსები. იაპონელებიც მთელ ღამეს ზარბაზანს ესროდნენ ერლუნგშანს და სანგშუშანის ფორტებს და რუსებს დაზიანებულ სიმაგრეების შეკეთებას უშლიდნენ. 14 ოქტომბერსაც გაძლიერებული ზარბაზნის სროლა იყო. იაპონელებმა რუსებს რამდენიმე ზარბაზანი (ამათგან ერთი 12 დიუმიანი იყო) და ტყვიის მტყორცნელი დაუზიანეს. „15 ოქტომბერს უფრო გავაძლიერეთ ზარბაზნის სროლა, რამდენიმე ზარბაზანი დავაზიანეთ, თოფის წამლის საწყობი ავაფეთქეთ და ქალაქში ორგან ცეცხლი გავაჩინეთო“,—სწერია გენ. ნოგის მოხსენებაში. ეტყობა, 15 ოქტომბერს იაპონელები უფრო ბეჯითად მოქმედებდნენ და უმთავრეს ყურადღებას ისევ ჩრდილოეთ ფორტებს აქცევდნენ იძაჩანიდან (იტშანიდან) კიკუანშამდე. ზარბაზნების დაზიანება იმას მოასწავებს, რომ ბოლოს დროს იაპონელებს ახლო დაუდგავთ ბატარეები, რუსის პოზიციებზე დადგმულ ზარბაზნებს ნიშანში იღებენ და მარჯვედ ახვედრებენ ყუმბარას. 16 ოქტომბერს უფრო გაძლიერებული ბრძოლა ყოფილა. ყველაზე საყურადღებო-კი ისაა, რომ იაპონელებს ეგრედ წოდებული მიწის ქვეშ ნაღმით ბრძოლა დაუწყიათ. იაპონელები მიწის ქვეშ გვირაბებსა, ანუ გალერეებს სთხრიან, ფორტის გარშემო გაყვანილ დიდ თხრილს უახლოვდებიან, იმის კედელს აფეთქებენ და მერე უფრო ადვილად, დაუბრკოლებლად მიდიან ფორტთან. მაგრამ გვირაბის გათხრა ფორტის დამცველებსაც შეუძლიათ. ესენიც ჯერ ყურს უგდებენ, ხმაურობაზე იგებენ, სადა სთხრის მტერი გვირაბს და თითონაც იწყებენ გვირაბის გათხრას. ორივე მხარე იმასა ცდილობს, რომ თავის მოპირდაპირეზე დაბლა გასთხაროს გვირაბი. თუ ეს მოახერხეს, ნაღმსა სდებენ გვირაბში, ხალხი გარედ გადის, ნაღმს აფეთქებენ და მტრის გვირაბი ხელად ინგრევა. მაშინ ისევ ხელახლად უნდა ეწვალოს და ახალი გვირაბი გაიყვანოს. აი ასეთი საშინელი ბრძოლა დაწყებულა პორტ-არტურთან. ყველაფრიდან სჩანს, რომ ამ ჟამად პორტ-არტურთან საომარი მოქმედება უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე აქამდე მიდიოდა და რუსის ციხე დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი...

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ჩიფუდან: რუსის მეციხოვნე ჯარს იმედი გადუწყდა. ბევრს დამორჩილება სწადიან, მაგრამ გენ. სტესელი არა ტყდება. გენერალმა პორტ-არტურის უმთავრეს ქუჩაზე ბრძანება გააკრა: სანამ იმდენი ხალხი მეყოლება, რომ ერთის ზარბაზნის გასროლას მაინც შევიძლებ, ბრძოლაზე ხელს არ ავიღებო („ნ.“).

ინგლისის ფლოტი. გერმანულ გაზ. „კენიგ. ცაიტუნგ“-ი სწერს: ასის წლის წინად ინგლისის ფლოტში 450 გემი და 24,000 ზარბაზანი ითვლებოდა, იმავე დროს დანარჩენ სახელმწიფოებს ერთად 1,230 გემი ჰყავდათ და 23,775 ზარბაზანი ჰქონდათ ამ გემებზე. ამ ჟამად ინგლისს 230 დიდი სამხედრო გემი ჰყავს, დანარჩენ სახელმწიფოებს-კი ერთად—382 გემი. ინგლისს 125 კრეისერი ჰყავს, დანარჩენ სახელმწიფოებს ყველას ერთად 100. ჯავშნიანი გემი ინგლისს 64 ჰყავს, ყველა დანარჩენ სახელმწიფოს საერთოდ—166, აქედან 30 საფრანგეთს ეკუთვნის, 35—გერმანიას. ჯავშნიანი კრეისერი ინგლისს 41 ჰყავს, დანარჩენ სახელმწიფოებს—77, მარტო დანარჩენ ევროპის სახელმწიფოებს—37. ინგლისის ფლოტი ამ ჟამად 360 მილიონი მანეთი ღირს. („ნ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ ნოემბრის პირველ რიცხვებში სპარსეთიდან ბაქოს მოვა და იქიდან პეტერბურგს წავა სპარსეთის სტამბოლელი ელჩი პრინცი მირზა-რიზა-ხანი. ელჩმა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო სპარსეთის შაჰის სახუჩრები უნდა მიართვას მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ.

◆ გუშინ, 27 ოქტომბერს, ბაქო-ბალაჯარის გზით პეტერბურგში დაბრუნდა სამხედრო სასწავლებელთა უფროსი **დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.**

◆ როგორც დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, უმაღლესის ბრძანებით, სხვათა შორის, კავკასიიდანაც გაიწვიეს ჯარში **სათადარიგო ოფიცრები.** გაწვეულთ ხუთი დღის ვადა აქვთ თავიანთ საქმეების მოსაწყობად. დღეს, 28 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილის თავმჯდომარეობით ქალაქის სამხედრო საკრებულო შეუდგება ახლად გაწვეულ სათადარიგო ოფიცრების შემოწმებას და დაასრულებს ამ საქმეს ხვალ, 29 ოქტომბერს.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობით, საერო განათლების მინისტრს უთხოვნია კავკასიის მთავარმართებლისათვის, დახმარება გაუწიოს მზრუნველს ბ-ნ ზავადსკის, რომ მან ტფილისის **სახელოსნო სასწავლებელი გადააკეთოს** ისე, როგორც რუსეთის სხვა ყველა ამგვარი სატეხნიკო სახელოსნო სასწავლებელია. როგორც თავის დროზედაც ვწერდით, გაუქმებულ იქნა ამ სასწავლებლის ქართული, სომხური და რუსული განყოფილებანი და სასწავლებლის გამგე-კომიტეტი. საერო განათლების სამინისტროს სამეურნეო ნაწილის მინდობილებით გუშინ გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის მოადგილეს, დაუყოვნებლივ შეუდგეს გამგეობა სასწავლებლის ახალ წესდების პროექტის შემუშავებას. პროექტი საგუბერნიო მთავრობას უნდა წარუდგინოს განსახილველად.

◆ როგორც კარაკლისიდან გვატყობინებენ, ყარსის რკინის გზის მე-131 ვერსზე, იმ ადგილს, სადაც დამტვირთულ ვაგონების ტვირთს ჰყარაულობდნენ ჟანდარმები და ყარაულები, ღამე 11 საათზე **დაეცნენ შეიარაღებული კაცები.** დაიწყეს თოფებისა და რევოლვერების სროლა. ისროდნენ ქვებსაც. ჟანდარმებმა და ყარაულებმა სროლითვე გასცეს პასუხი და ბოლოს განდევნეს მოსეულნი.

◆ ტფილისის ქუჩების მომკირწყვლელმა კომისიამ ამას წინად შეიმუშავა პროექტი ინსტრუქციისა თავის სახელმძღვანელოდ. საბჭომ ინსტრუქცია დაამტკიცა და განსახილველად წარუდგინა საგუბერნიო მთავრობას.

...ა, საკრე... განსახილ... ოქტომბერს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და კომისიისა. განაცხადეს, რომ საჩივრის პასუხი ორ წლამდე არ მოვაო. ამიტომ კრებამ საჭიროდ სცნო ახალ დროებით ინსტრუქციის შედგენა. ამ საქმემ ცხარე კამათი გამოიწვია, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ კომისიის თავმჯდომარემ ა. ი. ფლორენსკიმ თანამდებობაზე უარი გამოაცხადა. კრებამ დასასრულ დაადგინა დაავალოს კომისიას, შეიმუშაოს ინსტრუქციის პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს.

◆ გუშინ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გაუგზავნა პასუხი **წვრილ კრედიტის** შესახებ პეტერბურგის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წვრილ კრედიტის კომიტეტის განყოფილებას. საბჭომ აცნობა, რომ წვრილ კრედიტის განვითარების შესახებ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ამ ორი წლის წინად განიხილა ორი მოხსენება თ-ნ ვ. ს. მიქელაძისა და გ. დ. ქურულისა და გამოსთქვა კიდეც თავისი აზრით. საბჭომ გაუგზავნა ყველა დადგენილება ამ საქმის შესახებ. ამას გარდა საბჭომ გაუგზავნა კომიტეტს ყველა ის ცნობა, რაც ამ უკანასკნელმა მოსთხოვა.

◆ უმაღლესის ბრძანებით, ქალაქ ტფილისს **კარგა მოზრდილი ადგილი ჩამოერთვა** ნავთლუღის სადგურის გასაფართოვებლად. ამას წინად რკინის გზამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მიეცა, ნავთის მილი გაეყვანა ნავთლუღის მახლობლად ქალაქის მიწაზე. ქალაქის გამგეობამ, იმ მოსაზრებით რომ მილის გასაყვანადაც ჩამოერთვა ადგილი, ნება დართო. ავლაბრისა და კუკიის ქალაქის მიწების კომისიის აზრით-კი, გამგეობამ უსაფუძვლოდ დართო ნება მილის გაყვანისა, რადგან უმაღლესი ბრძანება არ შეეხება იმ ადგილის ჩამორთმევას, სადაც მილი უნდა იქნას გაყვანილი. ეს ადგილი რკინის გზის ლიანდაგის საზღვარს გარეშე მდებარეობს. კომისიამ დაადგინა, რადგან ეს საკითხი საბჭომ უნდა განიხილოს, სთხოვოს გამგეობას, შეაჩეროვინოს რკინის გზას მუშაობა მილის გასაყვანად.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ 27 ოქტომბრიდან სადგ. ალექსანდროპოლში **გასინჯონ ხოლმე ყველა მგზავრი** ერევნიდან ტფილისისაკენ მომავალი.

◆ 23 და 24 ოქტომბერს ბაქოში **ხოლერით ავად გამხდარა 9 კაცი,** მომკვდარა ორი კაცი.

◆ 26 ოქტომბერს ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა **საქმე ტფილისის** „კრუჟოკ“-ის მამასახლისისა და მებუფეტესი, რომელნიც ქალაქის გამგეობამ პასუხის გებაში მისცა სანიტარულ წესების დარღვევისათვის. მოსამართლემ დამნაშავედ იცნო მორიგემამასახლისი ექიმი ბუხი და ბუფეტის მოიჯარადრე. პირველს მიუსაჯა დაჯარიმება—25 მანეთით, ხოლო მეორეს—100 მანეთით.

◆ ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯურუყეთში, როგორც ბათუმური გაზეთი გადმოგვცემს, **მოუკლავთ თავის სახლის წინ მამასახლისად ნამყოფი** ლუკა ურუშაძე.

◆ ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიამ გამოიანგარიშა ის ხარჯი, რომელიც დასჭირდება ხოლერით გადაცვალებულთა სასაფლაოს მოწყობას. სულ სასაფლაოს მოსაწყობად გადადეს 1390 მან.

მქრო...

◆ განყოფი... ელიზბარაშვილი და თა... შესანახად. უცაბედად ელიზბარაშვილს ფული იატაკზე დავარდნია, მაგრამ როდესაც დახრილა ასაღებად, სადღაც გამქრალა. როგორც აღმოჩნდა, ფულისათვის ხელი უტაცნია ბანკის მოსამსახურეს ანდრია კოროტეცკის. კოროტეცკი გამოტყდა და ფულიც გამოაჩინა. კოროტეცკი პასუხის გებაში მისცეს.

◆ 26 ოქტომბერს ავჭალის ქუჩაზედ მობინადრე სოფელ პატარძეულის მცხოვრების დარია გულიაშვილის შვილს, 7 წლის ზაქარიას, მივარდნია ძაღლი და დაუკბენია. ბეითლების შემოწმებით, ძაღლი ცოფიანი აღმოჩენილა. ზაქარია გულიაშვილი პასტერის ცოფის ამცრელ სადგურში გაგზავნეს.

◆ 26 ოქტომბერს ვორონცოვის ქუჩაზე პატკანოვის სახლში მობინადრეს ტფილისის მაზრის სოფ. მამკოდის მცხოვრების შიო ბერიძისთვის ქურდებს მოუპარავთ ჩოხა, ახალუხი და სხვა ტანისამოსი. პოლიციამ იპოვნა ქურდი, რომელსაც აღმოჩნდა ძველი ტანისამოსით მოვაჭრე გიგო ანანოვი. ანანოვი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

◆ ზეგ, 30 ოქტომბრისათვის, დანიშნულია სხდომა ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად.

◆ ბ ა თ უ მ ი. 23 ოქტომბერს ღამის 11 საათზე მეისრე დემენტი ჩაჩუა ორთქლ მავალების მანევრების დროს გაიქცა, რომ ისარი გადაეგდო, ამ დროს ვერ შენიშნა ნიშნის ბოძი, ძალზე დაეჯახა და დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ გ ო რ ი. 25 ოქტომბერს, იქ, სადაც ნავთის მილების შენობაა, ჩამოწვა მიწა და დაიტანა მომუშავე სოფელ ურბნისის მცხოვრები ტატო ხიზანაშვილი. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ბ ა ქ ო. 26 ოქტომბერს, ღამის 2 საათზედ რკინის გზის ლიანდაგის ყარაული ვასილ ბურავი ორთქლმავალის ქვეშ მიჰყვა და ძლიერ დაშავდა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 265** შინაარსი: „ამბავი“,—მაქსიმ გორკისა, სურათები: „ჰოლანდიელ მეთევზეთა ცოლები ქმრებს ელიან“, სურათი ბარტელსისა, ბრძოლა ლიაოიანთან, პორტ-არტურთან ღამე ბრძოლის დროს და ორი კარიკატურა.

ორიოდე სიტყვა ჩვენს სასოფლო მეურნეობაზე

(წერილი საფრანგეთიდან)

ჩვენი ქვეყანა მდიდარია სასოფლო მეურნეობისათვის. ბევრი ისეთი ადგილია ჩვენში, სადაც შეიძლება წარმოება უმაღლეს კულტურის მცენარისა. ჩვენში რომ სასოფლო სამეურნეო საქმეს დიდი ნაკლულება და მეშაობა ეჭირვება, ეს, ჩვენის აზრით, ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს. მამული ზარალის მეტს არაფერს მაძლევსო, ხში რად გაიგონებთ ჩვენში მემამულეთაგან. რასაკვირველია, იზარალებ, როცა იქ, სადაც ვაზისა და ფორთოხლის გაშენება შეიძლება, სიმინდსა სთესავენ. არა ვინ არის ჩვენში ისეთი მემამულე, რომელიც თანამედროვე იარაღითა და საშუალებით ამუშავებდეს მამულს. ჩვენ ისევ ძველებურ კვალს მივდევთ. რაც უწინ იყო გამოსადეგი, ის ეხლა აღარა კმარა. რადგან ცხოვრებას მხარი ვერ ავუბით და ვერ ავყევით დროს ძალსაფერად, შედეგი ის გახლავთ, რომ ჩვენს ბუნებით უხვს და ბედნიერ ქვეყანას შიმშილობა კარს მოადგა. ალბათ, ამან გამოიწვია ის მოძრაობა, რომ ამ ბოლო დროს მრავალი ახალგაზრდა ესწრაფვის დასავლეთ ევროპას სასოფლო მეურნეობის შესასწავლად.

...ის განსაკუთრებული კომიტეტი, სა... სპეციალისტთა კომიტეტი, რა თ... ...ად გამოიკვლევს ... უფრო შეიმჩნევს. ... ...იერი მხარე და ბაზრის მდგენაა. მიუ... ...ნგითი სამაგალითოდ არის დამუშავებული და ჩვენთვის ბევრი რამეა აქ საგულისხმიერო და სასწავლი. ჩვენებური ახალგაზრდა, თუ არ ვცდებით, უმეტეს ნაწილად საფრანგეთის გაემგზავრება სასოფლო მეურნეობის შესასწავლად. ერთი რამე უნდა აღვნიშნოთ აქ: გარეშე ქვეყნის კულტურა კაცმა რომ შეგნებულად შეითვისოს, საჭიროა თავის ქვეყანას კარგად იცნობდეს. შედარება ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა. ძნელად შეიძლება ნახოთ ისეთი ადგილი, რომელიც ყველაფრით წააგავდეს მეორე ადგილს; არ შეიძლება, რომ ერთი ადგილის მიწის თვისება, იმისი შედგენილება, მდებარეობა, ჰავა და სხვა არ განსხვავდებოდეს მეორე ადგილისაგან. მაშასადამე მოუხერხებელია აიღოს კაცმა და პირდაპირ ისარგებლოს სხვის ნამოქმედარით.

ჩვენებური ახალგაზრდები ხშირად მოუმზადებელნი მიდიან საფრანგეთში. რაღა თქმა უნდა, მათი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება საზღვარ გარედ შეგნებული რომ ჰქონდეთ ყველა ის, რაც ჩვენშია სასოფლო სამეურნეო სკოლა (კავკასიისა, ყირიმსა, ბესარაბიაში. რა თქმა უნდა, უფრო უკეთესია უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი ჰქონდეთ გათავებული) რომ ჰქონდეთ გათავებული ან კიდევ სადმე მამულში ევარჯიშნოთ და შემდეგ გამგზავრებულიყვნენ საზღვარ-გარედ. როცა საზღვარ-გარედ თანამემამულენი ერთმანეთს უხვდებით, გამარჯვების შემდეგ პირველად ამას ვკითხებით: „რისთვის ჩამოსულხარ“?—მეურნეობის შესასწავლად. „ენა იცი“?—არა. „საბუნების მეტყველო საგნები ვისწავლია“?—არა ან ძალიან ცოტა. „ნივთიერი საშუალება გაქვს“?—ძალიან ცოტა. „რომელ სასწავლებელში უნდა შეხვიდე“?—არ ვიცი. „აბა როგორა გსურს შენი საქმე მოაწყო?“.—რამე უნდა მოვახერხოთ, და არის ერთ სიმწარესა და ფიქრში. სურვილი დიდი აქვს და ეს არის ერთად-ერთი საწუხარი ამ საქმეში. ზოგს ისე აქვს თავი გადადებული, რომ თვეში 25 ფრანკს სჯერდება.

მოგეხსენებათ, სასოფლო მეურნეობა ვრცელი საგანია. ამნაირ პირობებში მეურნეობის შესწავლა, ჩვენის აზრით, ყოვლად შეუძლებელია. ფრანგი, მაგალითად როცა ჰგზავნის შვილს სასოფლო მეურნეობის შესასწავლად შრომას და მეცადინეობას არ აკლებს. შვილი სასწავლებელში ხომ არის, მაგრამ ხშირად თავის მამულშიაც მიდის, მუშაობს პრაქტიკულად და ამნაირად ემზადება. სკოლა იგივე ოჯახია. როცა სასოფლო-მეურნეობის შესწავლა უნდათ, ჯერ მიდიან დაბალ პრაქტიკულ სკოლებში (ზოგან 3, ზოგან $2^1/_2$ წლის კურსია), შემდეგ იჭერენ ეგზამენს, მაგ., რონჟელიეს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელში ($2^1/_2$ წლის კურსი) შემდეგ კიდევ მიდიან უმაღლეს საავკრონო სასწავლებელში. რა უნდა ჰქნას ჩვენებურმა ახალგაზრდამ? თუ რამეს ისწავლის, ისე მტკიცედ ვერ შეითვისებს, რომ შემდეგ თავის მამულს დაუბრუნდეს და გაბედულად იმუშაოს. თუ არა ვცდებით, არც არის ჩვენში, რომ რომელიმე მემამულე თვითონ ამუშავებდეს თავის მამულს. აქ თუ ვინმე გაათავებს სასწავლებელს, დაბრუნების შემდეგ თავის მამულში მუშაობას ვერა ჰბედავს და ან სამსახურს ეძებს, ან და სრულიად სტოვებს თავის სპეციალობას. არც არიან გასამტყუნარნი: რა ჰქნან, როცა დარწმუნებულნი არ არიან, რომ იმათი მუშაობა ნაყოფიერი იქნება? ერთის სიტყვით, მოუმზადებლად შვილის გაგზავნას საზღვარ-გარედ სასოფლო-მეურნეობის შესასწავლად ვერც ერთ მამას ვერ ვურჩევთ.

ჩვენში ცნობილია მონპელიეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. აქ იღებენ დასხლოებ...

ფელეტონი

სახალხო სკოლა

რუსეთის იმპერია სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა; დიდი უმრავლესობა მის მცხოვრებლებისა სოფლელი გლეხია; ერთად-ერთი სახსარი რუსის გლეხის ცხოვრებისა მიწაა; საქონელი, რომელიც რუსეთს გააქვს მსოფლიო ბაზარზე, პურია; მთავარი ხარჯის გამღები, რომელსაც აწევს თითქმის მთელი სიმძიმე სახელმწიფო ხაზინის გაძღებისა, სოფლელი მეურნე, და სწორედ ეს ქვეყანას მრჩენელი გლეხი უკიდურეს მდგომარეობაშია: მიწა დღით-დღე იფიტება, პურის მოსავალი კლებულობს, იქ, სადაც ევროპიელ მეურნეს ასი ფუთი მოჰყავს, რუსეთელ გლეხს მისი მეოთხედიც არ შემოსდის; ხაზინას კი ცოდიერი ვერ დარჩება—რაც არ უნდა იყოს, გლეხმა გადასახადი უნდა გაიღოს, და რაკი პურის მოსავალი არ ჰყოფნის, ჭამა-სმას აკლებს, უპირველეს მოთხოვნილებებს დაუკმაყოფილებელს სტოვებს, ხშირად უკანასკნელ საქონელს ჰყიდის და... ხაზინის მოთხოვნას მაინც ვერ აკმაყოფილებს: გლეხი ვალიანდება, მართებს სახელმწიფოსა და ჩარჩებისა და პერიოდიულად შიმშილობა ეწვევა ხოლმე კარზე. ზოგი მცოდნე პირის შეხედულებით, დადგა ისეთი დრო, როცა შეუძლებელი ხდება მეტი „ვიკოლაჩივანიე“ სახელმწიფო გადასახადებისა...

რაგვარი სკოლა ესაჭიროება და უფრო დაეხმარება ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხს?

პირველის შეხედვით, ამ კითხვის პასუხი სულ ადვილია. მართლაც, თუ ხალხის დიდი უმრავლესობა სასოფლო მეურნეობას მისდევს, თუ ხალხის მთავარი ხელობა მიწის დამუშავებაა, სამეურნეო ტეხნიკაა პირველი საშუალება გლეხის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: უნდა დაარსდეს სამეურნეო სკოლები, გავრცელდეს ხალხში გაუმჯობესებული სამეურნეო ტეხნიკა, მიწა მეტ შემოსავალს გამოიღებს და გლეხიც ფეხზე გაიმართება.

მცოდნე ხალხი კი სულ სხვა პასუხს იძლევა ამ კითხვაზე.

როგორც მკითხველს ეცოდინება, უმაღლესი მთავრობა შეეკითხა ადგილობრივ მცოდნე პირებს, რა საშუალებით შეიძლება გაუმჯობესდეს სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა. შესდგა საგუბერნიო კომიტეტები და ბჭობა ჰქონდათ ამ საგანზე. ყველა კომიტეტების ნაბჭობ-ნაფიქრს ერთად მოუყარეს თავი და დაბეჭდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ კომიტეტების შემადგენელი ელემენტები მეტ წილად უფრო ბიუროკრატიის წრეებიდან იყო, მაინც შემუშავებული მასალა მეტად საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. მთელი რუსული პრესსა გულმოდგინედ არჩევს ამ მასალას და ბევრი საგულისხმიერო დასკვნა გამოიყვანა. მაგრამ ჩვენ აქ ზემოხსენებული სასკოლო კითხვა გვაინტერესებს და მხოლოდ ამ მხარეს შევეხებით. რუსულ ჟურნალ „მირ ბოჟი“-ს მეცხრე ნომერში თავმოყრილია ყველა ის დასკვნა, რომელიც საგუბერნიო კომიტეტებს გამოუყვანიათ საქმის შესწავლიდან და დაკვირვებიდან.

საგუბერნიო კომიტეტები მოწვეული იყვნენ იმისათვის, რომ გამოერკვიათ, თუ როგორ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი, და ამ კომიტეტების დიდმა უმრავლესობამ პირველად უყოყმანოდ ის აზრი გამოსთქვა, რომ ჯერ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ უნდა იქნას საზოგადოთ კულტურული საჭიროებანი. თუ გვინდა სასოფლო მეურნეობა განვითარდეს და უფრო მტკიცე ნიადაგზე დადგეს, აუცილებელია ხალხის კულტურულად ამაღლება, ამბობდნენ ყველგან მცოდნე პირები. დასავლეთ ევროპაში ხალხის განათლების ჩრდილს თან მისდევს ინტენსიური ეკონომიური ცხოვრებაც; რუსეთში გადმოსახლებული გერმანელი და ჩეხელი კოლონისტები (სამხრეთ დასავლეთ რუსეთში) შედარებით აუვავებულ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებიან რადგან კულტურულად, გონებრივად შედარებით უფრო მაღლა დგანან. ყველა ამგვარი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ პირდაპირი მიზეზური დამოკიდებულებაა ეკონომიურ მდგომარეობისა და ეგრედ წოდებულ სულიერ კულტურას შორის: თუ ხალხი გონებრივად განვითარებულია, ეკონომიური ტეხნიკაც მაღლა დგას და სიმდიდრეც მეტია. „რუსეთის ხალხის სიმდიდრის დაცემა პირდაპირი შედეგია ჩვენის ერთგულ უვიცობისა. საითაც არ უნდა მიიხედო, ყველგან თვალში გეჩხირება ეს უცოდინარობა და ყველაფერი, ერთ დროს განთქმულ „ინკვიზიციის“ არ იყოს, „სულ მისი ბრალია“.

ბუნებრივი სიმდიდრე რუსეთისა უთვალავია, შინაური ბაზარი საქონლისათვის განუზომელი, მუშა ხელი ევროპასთან შედარებით ძალიან იაფია; მიუხედავად ყველა ამისა, რუსეთში გაკეთებული უვარგისი საქონელი მეტად ძვირია და თუ რუსული მრეწველობა ვითომ არსებობს და ბოგინობს, მხოლოდ იმიტომ, რომ უსაზღვროდ მფარველობას უწევენ.

ბევრ სხვა გარემოებათა შორის მთავარი მიზეზი წარმოების ასეთ მდგომარეობისა არის რუსეთელ მუშის გონებრივი ჩამორჩენა, განუვითარებლობა. ქარხნელი მუშა ხომ იმავ გლეხის წრიდან გამოდის, რომელიც განთქმულია თავის საარაკო უვიცობით, და ამიტომაც მისი შრომა ასე ნაკლებ ნაყოფიერია. მრეწველობა მხოლოდ იქ ხეირობს, იქ არის ხელსაყრელი, სადაც მუშა შედარებით ინტელიგენტია.

ასეთ პირობებში რად უნდა გვიკვირდეს, თუ სასოფლო მეურნეობა პირვანდელ მდგომარეობაში იმყოფება: უვიცი, სრულიად განუვითარებელი გლეხი მეურნეობას წინ ვერ წასწევს, პირიქით: მის ხელში მიწა უფრო და უფრო იფიტება, რადგან მას ველურად ეპყრობა—რაც არის, მასქვთ და უკან კი არაფერს უბრუნებენ.

„კულტურა ადამიანისა წინ უნდა უსწრობდეს მიწის კულტურას“. რუსის გლეხი შრომას მოევლება, მაგრამ ეს შრომა ცუდის თვისებისა და ნაკლებ ნაყოფიერია. სულ უბრალო ელემენტარული განათლება რომ მისცე გლეხს, მისი შრომა მაშინვე უფრო კარგის თვისებისა ხდება. ამიტომაც არის საჭირო, რომ უმთავრესი ყურადღება განათლებას მიექცეს; განათლებაა ძირითადი ფაქტორი ყოველის წარმოებისა.

უმაღლესი საგანგებო თათბირი ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებისა თხოულობს პროფესიონ...

...დას, ქადაგებას პრესის საშუალებით და, რასაკვირველია, ხალხსაც უნდა შეეძლოს წაკითხვა, წაკითხულის გაგება-შეთვისება და საქმეში გამოყენება; ამისათვის კულტურა, განათლებაა საჭირო; რუსეთის იმპერიაში-კი ბევრია ისეთი სოფელი, სადაც უბრალო წერა-კითხვაც-კი არავინ იცის; სამაგიეროთ, გამეფებულია ძველი წესის ბრმა თაყვანისცემა და განუზომელი ცრუმორწმუნეობა.

უვიცი ხალხი წინ ვერ წაიწევს, რაც არ უნდა აუხსნა და უქადაგო ეკონომიურ-ტეხნიური საშუალებანი; მაგალითად რომ უჩვენო, მაშინაც ვერას ისწავლის, რადგან ასეთ საქმისათვის საჭიროა ინიციატივა, აქტიური მოქმედება, რაც უმთავრესად სწავლა-განათლებას მოსდევს ხოლმე.

უვიცი გლეხი ვერ იგებს მეურნეობის გაუმჯობესებულ სისტემას, ვერ იცის საცდელ მინდვრებს, სამაგალითო ფერმებსა და გამოფენებს. სულ ტყუილ-უბრალოდ იხარჯება გლეხის ფული ამ გვარ საქმეებზე: იგი გაბოროტებით უყურებს „ნასწავლებისა“ და „ბატონების“ დონისძიებას, მისთვის მიუწვდომელ მეტ სიტანჯვად ბარგად სთვლის მათ. გლეხი თავის ჭკუით მხოლოდ იქამდე მისულა, რომ ქვები და კუნძები სწამს, კვირა-უქმე დღე არ მუშაობს, თუნდ ეს მას დიდ ზარალს აყენებდეს, მღვდელს ადიდებს, გვალვის ან სხვა ამ გვარ უბედურების თავიდან ასაშორებლად...

შედეგი ის არის, რომ გლეხს მოჰყავს პური და მუდამ-კი მშიერია, იქვე მეზობლად ექიმი და ბეითალი ჰყავს და ის-კი მკითხავთან გარბის, სკოლა არის და ზოგან წიგნი თვალით არ უნახავს.

ბით რეალურ სასწავლებლის კურსის ცოდნი ეგზამენი. კონკურსითაა. საგნებს ვრცლად ს ლობენ. მევენახეობის და მეღვინეობის საქ სასწავლებელში ყველაზე უფრო კარგად არ დაყენებული ჩვენის ქვეყნისთვის დიახ გამო დეგი ეს სასწავლებელია. იღებენ აქ კიდევ ვისუფალ მსმენელებსაც გამოუცდელად. გადასახადი 120 ფრანკია თითო სემესტრში. სხვა ხარჯიც დიდია.

ქ. ბერეკაშვილი

ქალაქი ბორდო.

პრესსა

თავ. მეშჩერსკი საინტერესოდ ახასიათებს პეტერბურგის ბიუროკრატიულ დაწესებულებათ, მოხელეთა წრეს, რომელსაც ერთ ადგილზე ჯდომის გამო ხავსი მოეკიდა და არაფერი სიკეთე არ სწამს ცხოვრებაში.

ვისაც პეტერბურგში უცხოვრია, —ამბობს მეშჩერსკი, —კარგად იცნობს ამ დაწესებულებათ, ხშირად ჰქონია საქმე საცოდავ მოხელეებთან, რომელნიც პირ-ქუშად უცქერიან ამ წუთი სოფელს. ბუასილი, ნაღველი, სისხლ-ნაკლულობა ყოველნაირი „ჩინოვნიკური" სნეულება—მტკიცედ ეუფლა ამ არსებათ, ისენაირად გარდაქმნა, რომ ქვეყანაზე იმათ არაფერი ახარებს, არაფრის იმედი არა აქვთ. ნიშნ-მოგებითა და კბილთა ღრჭენით ეგებებიან ისინი ყოველთვის ახლად-გაღვიძებულ იმედს, საზოგადოების ახალ მისწრაფებას. ყველაზე უფრო ისეთი სახელმწიფო მოღვაწენი სძულთ, რომელთაც საზოგადოება თანაუგრძნობს და სცდილობენ გააცრუონ, ძირი ამოუთხარონ ხალხის იმედს ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

უნდა დავეთანხმოთ თავ. მეშჩერსკის საგულისხმიერო სიტყვებს. მრავალი მოხელე, რომლებიც დროზე არ დაუწინაურებიათ, მაღალ ხარისხზე არ აუყვანიათ, სამუდამოდ პირ-ქუშ პესსიმისტებად გადაიქცევიან ხოლმე, რაიცა მძიმე ტვირთად აწვება ხოლმე იმათ, რომელთაც საქმე აქვთ ამ მოხელეებთან. მე არ დამაწინაურეს და ნურც შენ დაწინაურდებიო, ჰკითხულობთ თქვენ ამ მოხელეთა უხალისოდ დაღვრემილ თვალებში. მე არავინ შემიწყო ხელი და თქვენ ვინა ბრძანდებით, რომ ხელი შეგიწყოთ, საქმე გაგიკეთოთ. დიდი ენერგია, დიდი მხნეობა გმართებთ, რომ ბოლოს და ბოლოს მიაღწიოთ საწადელს, თქვენი საქმე მოაგვაროთ.

შემდეგ თავ. მეშჩერსკი ამბობს, რომ სწორედ ამ პირ-ქუშმა მოხელეებმა გაავრცელეს ხმა იმის შესახებ, რომ ახლად-დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი თ.-დი სვიატოპოლკ-მირსკი დიდ-ხანს ვერ დარჩება თავის ადგილზეო. იმათ გულს აკლიათ, სწყინთ საზოგადოების თანაგრძნობა სვიატოპოლკ-მირსკის მიმართ. დაჰბერა თუ არა პეტერბურგში ამ თანაგრძნობის სიომ, შეიძრნენ „საჩინოვნიკო" სასახლეებში ხავს-მოკიდებული მოხელეები. არა-ერთი დიდი ხარისხის მოხელე მწარე საგონებელში ჩააგდო ამ ამბავმა. თავის სავარძლებზე ხალვათად დაბძანებულნი, ისინი ყველგან, სადაც კი რაიმე ახალი მოძრაობის ნიშნები გამოჩნდება, მოღალატეებსა და ქვეყნის დამქცევთ ხედავენ. აი ეხლაც შექმნეს იმათ განგაში იმის გამო, რომ თ.-დ. სვიატოპოლკ-მირსკის რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდან დეპეშები და ადრესები მოუვიდა თანაგრძნობის გამოცხადებით. „მინისტრმა ერთობ ხელი მოუშვა აღვირს, ხალხი გაათამამაო,"—შიშით ამბობენ ისინი. ვინ იცის, ამ გზით რომ ვიაროთ, რომელ ხრამში გადავიჩეხებითო. და აი გამოძვრნენ ეხლა თავის საბიუროკრატო ხვრელებიდან ეს გესლიანი არსებანი, გულ საკლავად სისინებენ და შხამს სცხებენ საზოგადოების ახლად-აყვავებულ იმედს, სასიხარულო მისწრაფებას.

მკითხველს უკვირს, როცა თავ. მეშჩერსკის ამ სიტყვებს კითხულობს. თითქო თვით ჩვენ სასიქადულო თავადსაც დაჰბერა ამ ახალმა სიომ, ისიც გაყმაწვილდა, გალიბერალდა. მაგრამ ყველა ეს მხოლოდ „ერთი იოტის წამისად" მიხდა. მეშჩერსკიმ ისევ [illegible] მღვრიე მორევში, დაინახა შიგ თავისი დამჭკნარი სამწერლო ფიზიონომია და სწორედ იმ ხავს მოკიდებულ მოხელედ გადაიქცა, რომელსაც ამ ერთის წუთის წინად ასე სარკასტიულად ჰკიცხავდა.

„მართალია, —ამბობს ბოლოს მეშჩერსკი, —ხმები თავ. სვიატოპოლკ-მირსკის სამსახურიდან გადაყენების შესახებ სიმართლეს მოკლებულია, მაგრამ შესაძლებელი კია, რომ ჩვენმა უკიდურესმა ლიბერალებმა ბოროტად გამოიყენონ მინისტრის მიერ გამოცხადებული ნდობა საზოგადოების მიმართ და ისე დახლართონ და დააბნიონ საქმე ახალ პოლიტიკურ წყობილების ძებნაში, რომ მინისტრი იძულებული გახდება თავის ნებით გადადგეს სამსახურიდანაო.

როგორაც ხედავთ, მეშჩერსკიც შიშმა შეიპყრო: „ამ გზით თუ ვიარეთ, ვინ იცის რომელ ხრამში გადავიჩეხებითო", ამბობს ჩვენი ბრწყინვალე თავადი, ისევ პირქუშ კონსერვატორად გადაქცეული.

თეატრი

ქუთაისი. 24 ოქტომბერს ქუთათურმა დრამატიულმა დასმა ქ-ნ ნ. ჩხეიძისა და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოადგინა თავ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა-ლეგენდა „ღალატი". ვ. მესხიშვილი—სულეიმან ხანი, ქ-ნი დავითაშვილი—გაიანე, ვ. გუნია—თარ-ბეგი, ქ-ნი მდივანი—რუქაია და ქ-ნი ივანიძე—ასახარი წინადაც გვინახავს, რომ ხსენებულ როლებს კარგად ასრულებდნენ მაგრამ დღეს კიდევ უფრო შეგნებითა და დაკვირვებით თამაშობდნენ. პიესის უმთავრეს როლს—ზეინაბისას—ამ დღეს პირველად ასრულებდა ქ-ნი ნ. ჩხეიძე. ზეინაბის როლში სამი სხვა-და-სხვა პირი გვინახავს, ქართულად და რუსულად მოთამაშე, მაგრამ ქ-ნ ჩხეიძესავით გრძნობიერად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად რომ ვისმე ეთამაშნოს, ის-კი არ გვინახავს; მხოლოდ ძლიერ უმაწვილურად გამოიყურებოდა. ბ-ნი გამრეკელიძე თუმცა გვარიანად თამაშობდა, მაგრამ კ. ყიფიანისთანა ანანია გლახა კი ვერ იყო. ბ-ნი აწყურელი ძლიერ კარგი ბესო იქმნებოდა, რომ ნამეტანი არ გადაეჭარბებინა და ხუმარა ბესოს ნაცვლად მასხარა ბესო არ დაეხატა. ბ-ნი ბაქრაძე თუმცა პირველ მოქმედებაში სუსტობდა, მაგრამ უკანასკნელ მოქმედებაში გამოკეთდა. სუსტი ირაკლი იყო ბ-ნი ხერხეულიძე, თუმცა ზოგიერთი მომენტი კარგად შეასრულა; იმას მეტი არც-კი მოეთხოვებოდა, როგორც სცენაზე პირველად გამოსულს. საზოგადოდ უმაწვილის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ სცენაზე თავი თამამად უჭირავს, მიხვრა-მოხვრა აქვს ბუნებრივი ძალდაუტანებელი, ლაპარაკობს თავისუფლად, გრძნობიერად და სხ. ქ-ნმა გამრეკელიძემ შვენივრად შეასრულა გადია მაიკოს როლი. წარმოდგენამ საზოგადოთ ძლიერ კარგად ჩაიარა. დიდებულ სურათს წარმოადგენდა მეტეხის ციხის აფეთქება და უკანასკნელი სცენა. თეატრი გაჭედილი იყო საზოგადოებით, რომლის ტაშის ცემასა და „ვაშა"-ს ძახილს საზღვარი არა ჰქონდა.

დონ-ვალიანი.

რუსეთის ქრონიკა

◆ 22 ოქტომბერს პროფესსორის კარეევის თავმჯდომარეობით პეტერბურგში საერო განათლებისათვის მზრუნველ საზოგადოების [illegible] ახილეს საკ[illegible] ტის დაარსებისა დ[illegible] სწავლა-განათლების გავრცელების

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა სახალხო წიგნთ-საცავების წესდების განხილვას. განზრახვა აქვთ გაადიდონ საკითხველოთა გამგეების წრე მეტი შეღავათის მინიჭებით.

◆ „ნოვ."-ს სწერენ მოგილიოვიდან, რომ 10 ოქტომბერს იქ ჯარის მობილიზაცია გამოაცხადეს. იმავე დღეს ქალაქში უწესოება მოხდა. ქუჩებში თავი მოიყარა ებრაელების მიმართ მტრულად განწყობილმა ხალხმა. ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ, თავს ესხმოდნენ ებრაელებს და იკლებდნენ ებრაელთა სახლებს. ვაჭრობა შესწყდა. ბევრი ებრაელია დაჭრილი და გალახული.

◆ მოგილევის გუბ. ქ. მსტისლავლიდანაც სამწუხარო ამბავს სწერენ „ნოვ."-ს. გაშმაგებულმა ბრბომ დაარბია ებრაელთა სახლები და დუქნები. აკლებულია ებრაელთა 24 მაღაზია და მრავალი პატარა დუქანი. ქალაქში თავი მოიყარა ახლად გაწვეულმა 2000 სათადარიგო ჯარის-კაცმა. ადმინისტრაციის განკარგულებით სახაზინო არაყის დუქანი დახურულ იქმნა. ხალხი მიესია დახურულ დუქანს და გაღებას თხოულობდა. ნაშუადღევის 2 საათზე დუქანი გააღეს. ხალხმა მალე დაიტაცა არაყი. ქალაქი მთვრალის ხალხით აივსო. მეორე დღესაც გაღებული იყო არაყით სავაჭროები. მთვრალი ხალხი შეუდგა ებრაელთა სახლებისა და დუქნების დარბევას. ქალაქი საზარელ სურათს წარმოადგენდა. გაშმაგებული ბრბო მთელ ქუჩებს მოედვა. ყველგან ისმოდა საცოდავ, აკლებულ ებრაელთა გულ-საკლავი კივილი და ქვითინი. მფარველი არავინ გამოუჩნდა ამ საწყალ ხალხს. მხოლოდ მეორე დღეს ებრაელების გადარჩენილ სახლებთან ჯარის კაცები დააყენეს თოფებით.

ქ. სტარი ბიკოვშიაც მოხდა უწესოება. 10 ოქტომბერს ქალაქში მოვიდნენ ახლად გაწვეულნი სათადარიგო ჯარის კაცნი, კარდა-კარ დადიოდნენ, სახლის პატრონებს ფულს სთხოვდნენ, და ვინც არ აძლევდა, გალახვას ემუქრებოდნენ. 13 ოქტომბერს ხალხი სახლების დარბევას შეუდგა. ბრბო უმთავრესად სათადარიგო ჯარის კაცებისაგან შესდგებოდა. ბევრი დუქანი და კერძო სახლი დაარბია ხალხმა. ზარალი 200 ათას მანეთს აღემატება.

◆ დაბა ჩაუსას ბრბო თავს დაესხა სახაზინო არაყის საწყობს და ერთ კერძო დუქანს. საწყობის კარები და ფანჯრები ჩაამტვრია, დაიტაცა არაყი და ქუჩებს მოედვა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დროზე მიიღო ზომები და დაამშვიდა ხალხი. მეტად გონიერად და თავ-გამოდებით მოქმედებდა თურმე ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლე გროზდინსკი, რომელიც გაშმაგებულ ბრბოს შუა-გულში ჩადგა და დაამშვიდა ხალხი.

◆ კურსკიდან იწერებიან, რომ მინისტრის პლევეს განკარგულებით საგუბერნიო საერობო სამსახურიდან დათხოვნილ მოხელეებს ბერნაშოვსკის და კალიტრატოვს ისევ მოუვიდათ საერობო დაწესებულების სამსახურში შესვლის უფლება. აგრეთვე ნება მიეცათ იმსახურონ საერობო დაწესებულებებში: გუბერნიის სამმართველოს მდივანს ზვიაგინცევს, წიგნის გამგეს—სიტინსა და სხვებს, რომლებსაც საერობო სამსახური აკრძალული ჰქონდათ.

◆ „კიევსკ. ოტკლ."-ი გადმოგვცემს, რომ ლუბნაში (პოლტავის გუბერნია), 18 [illegible]ომბერს ხარკოვის სასამართლო პალა[illegible] სესიამ გაარჩია საყურადღებო ორი სა[illegible]ქმის გარჩევა ხალხის დაუსწრებლად [illegible]. პირველად გაირჩა მოქალაქეთა ოლ[illegible]ვსკის, ბუდნიცკის, კაცოვიჩის, ზუბელის და ბაროიტის საქმე, რომელთაც, ახალ სისხლის სამართლის კანონების მიხედვით, ბრალად ედებათ გლეხთა მუშათა შორის სარევოლიუციო პროპაგანდის გავრცელება. სასამართლომ გაარჩია აგრეთვე გლეხის კუშინის საქმე, რომელსაც ამგვარივე დანაშაულობა ჰბრალდება. პალატამ მიუსაჯა ოლხოვსკის 8 თვით დაპატიმრება, დანარჩენები-კი გაამართლა.

◆ კიშინევიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს"-ს, იუსტიციის მინისტრმა არ შეიწყნარა სასამართლო პალატის შუამდგომლობა, რომ კიშინევში მომხდარ არეულობის შესახებ დანარჩენი საქმის გარჩევა ხალხის დაუსწრებლად მომხდარიყო.

◆ „ვარშ. დნ."-ს სიტყვით, ადმინისტრატიულ წრეებში გადაწყვეტით ისმის ხმები, ბეჭდვითი სიტყვის საქმეებში მალე ცვლილება უნდა მოხდესო. ამბობენ აგრეთვე, რომ ცენზურა და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვის საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიაში გადავა და კანცელარიის გამგეს მინისტრის უფლება მიენიჭება.

◆ სახელმწიფო საბჭოში ამ დღეებში აღიძვრება კითხვა აღმოსავლეთ რუსეთში და ციმბირში ახალი საქალაქო დებულების შემოღების შესახებ.

კახელ მევენახეთა საზოგადოების საგანგებო კრება თელავში. *)

21 ოქტომბერს კრებას უფრო ნაკლები ხალხი დაესწრო.

თავმჯდომარე. გუშინ გადავსწყვიტეთ საკითხი ზედ-მეტად გატანილ ფულისა. კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქმნება ზოგმა თქვენგანმა ვერც კი გაიგოს, იქმნება ცხადად და სავსებით არა გაქვთ წარმოდგენილი, რა შედეგი მოჰყვება გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. (გაისმის აქა-იქ ხმა—შეურაცხებას რათ გვაყენებთო). მე სუყველაზე არ ვამბობ, იქმნება ვინმე ინდომებს კიდევ განმარტებული იყოს კრებისაგან გადაწყვეტილი. (ისმის ორი ხმა—აგვიხსენითო. გამგ. თავმჯდომარე უხსნის).

თავმჯდომარე. ახლა უნდა განვიხილოთ, როგორ უნდა მოვიდეს სისრულეში გუშინ კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილი. ჩვენი გუშინდელი გადაწყვეტილება დააღონებს სრულებით დაუმსახურებლად იმ წევრთ, რომელთაც არცა ჰმართებთ და არც მისაღები აქვთ. მაგ., მე არც მისაღები მაქვს და არცა მმართებს, ხოლო 20 თუმანი მაქვს დეკემბერში შესატანი. მე საზოგადოებას ჩავაბარე 10 20 საპალნე ღვინო. ფული არა მაქვს, რომ ბანკში შევიტანო. საზოგადოებისაგან თუ მერგება რამე, მომეცემა 1905 წლის თებერვლის შემდეგ, მე კი თუ 1904 წ. დეკემბრის 15-დის არ შევიტანე ბანკში, მამული გამეყიდება. მე არც უქონელი ვარ—15—20 საპალნე ღვინო ჩაბარებული მაქვს და არც მქონებელი ვარ, რადგან 20 თუმანი არ მომეპოვება, რომ დეკემბერში შევიტანო. გამგეობა, გადაწყვეტილების ძალით, მთელ ნავაჭრ ფულს ურიგებს წევრებს, რომელთაც 1904 წ. მოსავლისა არ მიუღიათ. რა ვქნა მე? გამგეობას ხომ არ ეცოდინება რაოდენობა იმ ფულისა, რომელიც ამისთანა გაჭირვებულთ დააკმაყოფილებს?

გამგ. თავმჯდომარე. ეს უეჭველია, რომ იანვრამდის ვერავის მივცემთ იმათგანს, ვისაც არა აქვს მისაღები. რაც შეეხება გაჭირვებულთა დასაკმაყოფილებელ ჯამი რაოდენობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი 500 თუმანს არ უნდა აღემატებოდეს.

თავ. ნ. ი. აბაშიძე. როგორც ამბობს თავ. ვახვახიშვილი, იმ წევრთა გაჭირვების დასაკმაყოფილებლად რომელთაც წმინდა ანგარიში აქვთ საზოგადოებასთან, სულ რაღაცა 4 ან 5 ათასი მანეთია საბის წევრმა. მიწერ-მოწერა არ არის საჭირო. მოვიდეს, დაბეჭდოს ღვინო და გათავდა. ეს ძალიან საჭიროა, რადგან მარტო გამგეობის წევრმა იცის [illegible]. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ წევრთ სარგებლობა მოუტანიათ საზოგადოებისათვის, რომ მათ ღვინო აქვთ, რომელიც ან ჩაუბარებიათ, ან ახლო მომავალში ჩააბარებენ საზოგადოებას, ე. ი. აქვთ უეჭველი მოძრავი ქონება—ღვინო, რომელიც ბევრით დიდ ჯამს უზრუნველ-ჰყოფს, ვიდრე რაღაც 4 თუ 5 ათასი მანეთია, რატომ არ უნდა მივცეთ 5 ათასი მანეთი იმ პირთ, რომელთა ღვინის ღირებულებაც ერთი-ათად აღემატება 5 ათას მანეთს?

თავ. ი. გ. ბარათაშვილი. ნუ დაივიწყებთ, რომ მაგისთანა გადაწყვეტილების მიღებით თქვენვე დაარღვევთ გუშინდელ გადაწყვეტილებას.

გამგ. თავმჯდომარე. გთხოვთ შეიტანოთ ოქმში, რომ ის თავ. ნ. ი. აბაშიძე, რომელიც თავის აქ წაკითხულ განცხადებით ბრალსა გვდებდა, წესდებას არღვევთო, ახლა თვითვე თხოულობს ამავე წესდების დარღვევას. აი, ბატონებო, ამისთანა მოთხოვნილებანი და ამავე შინაარსის საზოგადო კრებათა დადგენილებანი უძევს საფუძვლად ყველა იმას, რასაც ჩვენ ბრალად გვდებენ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, უნდა უშველოთ იმ წევრებს, ხოლო კანონიერების დაცვით. ეს ასე შეიძლება: მიეცეს გამგეობას ნება ცალკე იმათთვის ისესხოს და მით დახმარება აღმოუჩინოს თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილის მიერ აღნიშნულთ.

მცირე ოდენის კამათის შემდეგ ამ საგნის შესახებ, თავმჯდომარემ განაცხადა: ამ საკითხს კენჭს არ ვუყრი, როგორც იმისთანას, რომელიც გადაწყვეტილება შეიძლება იყოს წინააღმდეგი წესდებისა. გამგებელი უმეორებს კრებას თანახმად მიღებული გადაწყვეტილებისა, რა წეს-რიგით იქმნება ფულის დარიგება. თავმჯდომარე კიდევ შეეკითხა კრებას, ხომ არა გაქვთ რა სათქმელიო.

თავ. ნ. ი. აბაშიძე. რატომ აღარ შეიძლება შეღავათი მივსცეთ ვისმე? იმიტომ რომ 60 ათასი ვედრო ღვინო გვაქვს გასასყიდი. ვინ არის დამნაშავე? ვიღაცა-კი არის დამნაშავე, ხოლო ცხადი ერთია, რომ ამაში დამნაშავენი წევრნი არ არიან. მახლობელი მიზეზი 60 ათასი ვედროს გაუყიდველობის არის წევრების მიღება. უნდა მიგვეღოთ სახეში ყოველთვის ღვინის რაოდენობა, ეს დავივიწყეთ და მიტომ ასეთი ბოლო ჰქონდა ამ დავიწყებას. მოხდა შეცდომა, რომელსაც გასწორება ეპირვება. გასწორება კიდევ ის იქმნება, ნება მივცეთ გამგეობას ამ წევრთათვის სესხის აღებისა.

თავმჯდომარე დაუბრუნდეთ ისევ იმ საკითხს, როგორ უნდა მოიყვანოს გამგეობამ სისრულეში გუშინდელი გადაწყვეტილება კრებისა.

კიდევ თხოულობენ ანგარიშის გამომჟღავნებას. ზოგნი თხოულობენ მიღებულ გადაწყვეტილების წაკითხვას.

გამგ. თავმჯდომარე. არ არის მიღებული გამჟღავნება კერძო პირადი ანგარიშებისა. წევრმა უნდა იცოდეს საზოგადო რიცხვები. იქნება ცნობის მოყვარეობით მოგვდის, რომ პირადი ანგარიშების შეტყობა გვწადია! როგორაცა ვსთქვი, შეიძლება კომისია აირჩიოთ სამის კაცისაგან და შეიტყოთ ხასიათი ანგარიშებისა. თუმცა კრების საქმე არ არის შევიდეს იმის განხილვაში, როგორ იქმნება განხორციელებული იმისი გადაწყვეტილება, მაგრამ მე მაინც გეტყვით კერძოდ ჩემ აზრს, რადგან ჯერ გამგეობას არ მოულაპარაკნია ამ საგანზე: უნდა ავწეროთ, ვის რამდენი ღვინო მოუვიდა; ამით შევიტყობთ, ვინ რამდენი ღვინო უნდა მოგვცეს ვალში. თუ ის მოინდომებს წამალი ან სხვა რამე წაიღოს, ამაშიაც ღვინო უნდა მოგვცეს. ამ ღვინოს რაოდენობასაც გამოვიანგარიშებთ. შევადგენთ მეორე სიას, რომელშიაც მოხსენებული იქმნება ვალსა და წამალში ვინ რამდენი ღვინო უნდა მოგვცეს. ამას შევატყობინებთ წევრებს. დანარჩენი ღვინის შემოტანა თუ შემოუტანლობა, წევრთა სურვილზე იქმნება დამოკიდებული; ეს მათი სურვილი დეკემბრამდის უნდა იცოდეს გამგეობამ. რასაკვირველია, ეს მალე ვერ მოხდება, ერთი თვე მაინც მოუნდება. რაც შეეხება საკითხს, მოვცემთ თუ არ მოვცემთ, ამაზე შემდეგ კრებაზე იქმნება ლაპარაკი. პოლიციას ხომ არ მივმართავთ. იმედი მაქვს, ყველანი მოინდომებენ ვალის მოშორებას.

თავ. გ. ს. ვახვახიშვილი. რა უფლებით შეგვიძლიან ეგა? ვინ ვის უნდა გაუგზავნოს პოლიცია?

თავ. ნ. ი. აბაშიძე. საჭიროა, რომ ცნობები შეკრიბოს, აღწერილობა შეადგინოს თვით გამგეობამ. თუნდა გამგეობის წევრი ერთი წლისწადაც დარჩეს, უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე ტფილისის კანტორაში.

თავმჯდომარე. ეს საკითხი განვიხილეთ იმიტომ, რომ დავამარებოდით გამგეობას. ამისათვის ცალკე დადგენილება არ იქმნება.

ნადიკვრელი

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2652.

რა გასაკვირველია, რომ მსოფლიო ბაზარზე ამერიკელი და ევროპიელი გამარჯვებული იყოს. ამერიკასა და ევროპაში მაინც და-მაინც ბევრი სამეურნეო სპეციალური სკოლები არ არის, მაგრამ სამეურნეო კულტურა-კი ძალიან მაღლა დგას. რატომ? იმიტომ რომ ხალხი განათლებული და განვითარებულია და ასე მომზადებულს ადვილად შეუძლია სკოლის გარეშე შეიძინოს საჭირო ცოდნა წიგნების, გამოფენების თუ ლექციების საშუალებით. „განათლებული ამერიკელი და ევროპიელი რუსის უვიცობას ანადგებს მსოფლიო ბაზარზე".

ამიტომაც სასოფლო მეურნეობის თუ მრეწველობის განსავითარებლად რუსეთის იმპერიაში პირველად ყოვლისა უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას კულტურული მოთხოვნილება—უნდა შემოღებულ იქმნას დაუყოვნებლივ საყოველთაო სავალდებულო სახალხო განათლება. სანამ ეს არ იქნება, სანამ ხალხი უვიცობის სიბნელით იქნება მოცული, მეურნეობისა და მრეწველობის აღორძინებაზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა და სხვა საგნებით ტეხნიკურ ხასიათის ღონისძიებათა მიღება ძალთა უნაყოფო ფლანგვაა.

ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის ნაწილია ყოველ მხრივ: რუსულ უვიცობაში ჩვენ [illegible] გაგვასწრობს და ამიტომ რაც რუსებზე ითქვა, ის ჩვენზედაც თამამად ითქმის. ჩვენში ბევრია მოტრფიალე სპეციალურ სამეურნეო განათლებისა და ამისათვის კარგი ჭკუის მასწავლებელია საგუბერნიო კომიტეტების დიდ უმრავლესობის ზომიერ მოყვანილი შეხედულება. ჩვენც გვესაჭიროება საყოველთაო სავალდებულო სკოლა ჩვენის ეკონომიურად დაცემულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ სკოლაც არის და სკოლაც. თუ რუსეთში სკოლას თხოულობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სკოლის საშუალებით ხალხს გონება უვითარდება, და რუსეთში უთუოდ ეგრეც იქნება. ეხლანდელი რუსული სკოლაც ძალიან დიდ სამსახურს უწევს რუსობას.

ჩვენში კი ამას ვერ ვხედავთ: აქ სკოლას სხვა სარჩული აქვს... ბ. არბანიძის არ იყოს („ცნ. ფურც." 2652), „მასწავლებლებს არ შეუძლიან თავისი მოსწავლენი გაიცნონ (ქართულად არ უნდა დაელაპარაკონ!), იმათ გულში ჩაიხედონ, თვითეულის ღირსება-ნაკლულევანება გაიცნონ, ესაუბრონ, გაურკვიონ ათასი საკითხი... რაღა გასაკვირველია, თუ მასწავლებელს მოსწავლეზე არავითარი გავლენა არა აქვს, თუ ბავშვს სკოლიდან არავითარი ზნეობრივი აღზრდა და გონებრივი განვითარება არ გამოაქვს".

თუ სკოლა ასეთივე იქნა შემდეგშიაც, გინდა საყოველთაო და სავალდებულოც იყოს, საქმეს დიდს ვერას უშველის: ჩვენი შვილები მაშინაც გონება განუვითარებელნი და უცოდინარნი გამოვლენ სკოლიდან.

ზოგმა საგუბერნიო კომიტეტმა მიაქცია ყურადღება არა რუსთა განსხვავებულ მდგომარეობას—იქ, სადაც არა რუსნი სცხოვრებენ, სწავლება ადგილობრივ ენაზე უნდა სწარმოებდესო.

თუ ეს აუცილებელი პირობა არ იქნა შესრულებული, სკოლას ჩვენში არავითარი კულტურული მნიშვნელობა არ ექნება და მაშასადამე სულ სხვა დანიშნულებას უნდა ემსახუროს...

W.

გურულის წერილი

ძმაო ჯიბილა!

ძმობა და სიყვარული ღმერთმა ნუ მოგიშალოს და შენი ტკბილი მუსაიფი დიდხანს ნუ მოუკლოს ჩვენ უსწავლელ ხალხს. გეფიცები ჯუმათის მონასტრის წმინდა კვირიკეს მადლს, გაზეთის კითხვა შენმა ჩვენებურათ დაწერილმა, მარილიანმა წერილებმა შემაყვარეს, თორა ისე გაზეთს მე ვერაფერი გამოგტყუებდა სხვაი. ამ ვაიანობის დროს მაინც თლათ ამერია გზა და კვალი. ან კი რაფერ გინდა გეიგო: ეს ჯავშნიანი გემით, ეს დადმასხით, ეს კრეისერით, ეს თორმეტდუმიანი ზარბაზნით და ვინ იცის რა, არა, ვაიანობა კი გამიგონია, მარა ამისთანა ზარბაზნებით თუ ასე უმოწყალოთ კაცებს ჟლეტავდნენ, ეს კი არ მეგონა სტორეთ. მართალია, ცხონებული მამა ჩემი კი მეტყოდა პატარობას, ვაიანობა იმიტომ არის მოგონილი, რომ ქვეყანაზე კაცი არ გამრავლდეს ნამეტარით და მართალიც უნდა იყოს.

ეჰ, ხუმრობა გვერდით იყოს და აგი უსიამოვნობა ძაან შემოგვეჩვია ეს ერთი ხანია გურულებს. ჯერ არის და გურიის საუკეთესო ჭალები სულ ხელ უხლებელი რჩება ამ პუნტობის დროს (გაი რამდენი მანატრია, ერთი ჩემი გიშერაი და წაბლიაი გამაბმაა ამ ჭალაში და გადამაბრუნებინა შებაი საუნჯეთ მეთქან, მარა ვინ დაგანებებს), და მეორე: რაც ითესება, იგიც აღარ შობს სიკეთეს; ამინდები არ უწყობს ხელს, ხშირი წვიმებია, ღმერთიც გაგვირისხდა, ბატონო, ღმერთიც, სხვაი რაღაი. შენი მტერია, გაისთაც თუ ასეთი სიმინდის ძვირობა იქნა, რავარც წროეს იყო, ჩვენ დღე დაგვადგეს, ამოგწყვიტებით შიმშილით და იგია. მეტი რაცხა სულ კაკლა-კაკლით ვუდუღლობდი სიმინდას და იგიც რომ ვეღარ ვიშოვნე, დავიწყეთ ისევ ღომის ხარჯი, მარა რა: პური რომ ხელში ეკავენ მაინც ქე ბღავოდენ ბაღნები, ჭადი მინდაო. ჰო, შენ რომ ჩემი ბაღნების ზღიპინზე გეეყურებია ამ ზაფხულში, მე რომ შენი გულის ამბავი ვიცი, ნამდვილ შეგებრალებოდი. არ იქნა, ბატონო, იგენის (და არც ჩვენი, სულო-ცოდვილო!) პურით გაძღომა, ასე გლახა ყოფილა ჩოყლობა თურმე.

ჰო და ამისანა ამბებს ბევრს მოგწერ გურიიდან, მარა რა ვიცი, ეგება არ მოგეწონოს ჩემი გამოთქმული წიგნი, მე ერთი უსწავლელი შტერი კაცი ვარ და შენსავით პრავილაზე წერა არ ვიცი. მართალი გითხრა, ზოგიერთი არც მე მომწონს შენს წერილში, მარა საქმე ხომ ზოგიერთზედ არ არის. მარკალიტათ, ამ ბოლო წერილში რომ ჩივი შენ, იმედია, ნასწავლი ღვდლები საკურთხს არ წაიღებენო, ეს ძაან ტყუილია. ჭკვიანი კაცი ხარ და აგი ერთი შეცთომა-კი რავა მოგივიდა. მე თუ მკითხავ, ნასწავლი ღვდლები, მარტო კურთხევამდი ჩივიან საკურთხს არ წავიღებთო, თვარა, რომ ეკურთხებიან, მერე უსწავლელ ღვდლებზედ უარეს საქმეს შობიან.

მარა საქმე გურულ ღვდლებზედ ხომ არ არის, მე იმერელ ნასწავლ ღვდლებსაც ბევრს ვიცნობ, რომლებიც კოკრებს ძველ უსწავლელ ღვდლებზედ არა ნაკლებ და მგონი უმეტესაც ეტანებიან. ახლა რომ კითხო, რათ კადრულობ მამათ ამასო, მართალსავით გიპასუხებს: რა უყო, მაინც ქე იხარჯებიან, მაინც არ ანებებენ თავსო საკურთხობას და ბარემ მეც მერგოსო. ე. ი. კაცს რომ სახლი ეწვოდეს, ხელი მაინც უნდა გეითბოსო, ამაზე ითქმება, მგონი, არა? აწი და თუ-კი ამათაც სწამთ, რომ საკურთხი მაინცა და მაინც დიდი საჭირო არ არის, ქე რა უჭირთ აუხსნან და მიახვედრონ ამას ხალხი, მარა ხუმრობთ! ეჰ, რავარც გინდა ისე თქვი და კაი შუბლის ძარღვი-კი უნდა ქონდეს კაცს და ისიც ნასწავლ კაცს, რომ ამ შიმშილობის დროს უმწეო, წვრილი ცოლ-შვილის პატრონ გლეხის ოჯახიდან ხარჯი და პური წაიღოს და თავის შვილებს აჭამოს!

ახლა ვიცი შენი ამბავი, ასე იტყვი: რაცხა გამოლოცვა გურულებსაც ნდომებიათ და შეიძლება იმ შენ გადიასანაც-კი მიგვაგზავნო, მარა არა, ძმავ, გამოლოცვის მე კაი ხანია არაფერი მწამს და რეიზა—ახლავე მოგახსენებ: შენის არ იყოს, მეც მყავდა ერთი ბებია, რომელმაც იმდენი ლოცვა იცოდა, რომ თუ გინდა ერთ კვირეს არ გაათავებდა ფუჩენს; მაინც ნათვალევის ლოცვა მასწრება იცოდა. ნათვალევს მითო ატყობდა, თუ ლოცვის დროს ხშირათ დამთქნარებდა. ერთხანს მეც ქე მჯეროდა მისი ლოცვა, მარა ერთი ამბის შემდეგ სრულათ დამეკარგა იმედი. ერთხელ თვალში ჩამივარდა რაცხა და გავიქეცი ბებიასთან; მანაც მაუსვა ხელი ლოცვას: ივანესას მიდიოდი, თვალში რაცხა ჩამივარდა, ამოვასვე ორი თითო, მაშვინათე ამოვარდა... და თანაც გამწარებული სული უბერავდა, მარა, ჰა, შენც არ მომიკვდე, ამით ის არ ამოვარდნილიყო. ის კი არა, ხელის სხმით კიდევ უფრო ამტკი-

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
27 ოქტომბერი

ᲨᲐᲜᲰᲐᲘ, 26 ოქტომბერი („რეიტერი"). ნაღმიან გემის „რეშიტელნის" მეზღვაურნი და აფიცრები საკანონერო გემ „მანჯურ"-ზე დააყენეს. უფროსმა ვუზუნში წასვლა მოახერხა. ფიქრობენ, რომ იგი გერმანიის საფოსტო გემით ევროპაში გაემგზავრება.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲐᲘᲓᲘ, 25 ოქტომბერი („რეიტერი"). მოვიდნენ კაიროდან რუსეთის საგენერალო კონსული და საზღვაო აგენტი და ღამის 12 საათამდის მოლაპარაკება ჰქონდათ ადგილობრივ კონსულთან. დიდი სიფრთხილით იცავენ ახალ-მოსულ გემებს; კატებს ჰქირაობენ, რომელნიც დარაჯებად იქნებიან ნაპირებზე.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. „ნორდ. ალგ. ცაიტ"-ი აცხადებს, საფუძველს მოკლებულია ხმები იმის შესახებ, ვითომ რუსეთის მთავრობას ან საადმირალოს გერმანიისაგან ცნობები მიეღოს ბალტიის ესკადრას ნაღმებით და სხვა იარაღით თავდასხმას უპირებენო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 26 ოქტომბერი („კორრ. ბიურო") დობროვოლნი ფლოტის გემმა „ვლადიმირ"-მა ბოსფორი გაიარა.

ᲙᲐᲜᲓᲘᲐ, 26 ოქტომბერი („რეიტერი"). აქ ელიან რუსეთის ტრანსპორტს „იაროსლავ"-ს, რომელსაც 1300 ტონნა ნახშირი მოაქვს ბალტიის ესკადრისათვის.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 26 ოქტომბერი („ვოლფი") მეთევზეთა გემის „ზონტაგ"-ის შკიპერს ჩვენება ჩამოართვეს და შემდეგ 20 ოქტომბერს შეკითხვით მიმართეს ამ საქმის შესახებ რუსეთის მთავრობას, რომელმაც თანხმობა გამოაცხადა დაუყოვნებლივ გამოარკვიოს საქმე და ზღოს მთელი ზარალი. როგორც უკვე გამოცხადებული იყო, ამ გემს ყუმბარები დაუშინეს რუსეთის სამხედრო გემებმა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 26 ოქტომბერს მოვა პეტერბურგს ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 26 ოქტომბერი („რეიტერი"). არა ოფიციალური ცნობებით, პორტ-არტურთან იაპონიის არმია ნელად, მაგრამ ნაყოფიერად, მოქმედებს. ქვიანი ნიადაგი და კლდეები მეტად აბრკოლებენ საპიორების მუშაობას. ეხლა ფიქრობენ: თუ იაპონელები ერლუნგშანსა და აღმოსავლეთ ცზიუანშანს აიღებენ, ანცზუშანი და იცზუშანი კი აღებული დარჩა, რუსები იძულებული არ გახდებიან შიდა ქალაქი დაანებონ იაპონელებსაო. შახედან ამბავი მოვიდა, ორივე მოპირდაპირე არმია მდინარის გაყოლებით თვის პოზიციას ამაგრებს და გაცხარებულად ემზადება ახალ დიდ ბრძოლისათვისაო. რუს-იაპონელთა მცირედი რაზმები სულ ახლოს არიან ერთმანეთზე. მოწინავე რაზმებს შორის ხშირი შეტაკებაა. საექვოა, რომ დიდი ბრძოლა ამ მოკლე ხანში მოხდეს. ამბობენ, რუსის ჯარის გზავნა შენელებულად სწარმოებსო. ჯარი და არტილერია განუწყვეტლივ მიდის შახესთან მომხდარ ბრძოლაში დიდი ზარალის შესავსებად.

ᲨᲐᲜᲰᲐᲘ, 26 ოქტომბერი („რეიტერი".) ხმებია, რომ ჩინეთის ერთი წარჩინებული მოხელე 20 ოქტომბერს იაპონელებმა მოჰკლეს შახპუსთან. მოხელე იაპონელ ჯარის ჯაშუშობის დროს დაიჭირეს. ამბობენ, ჯაშუშობა გუბერნატორის ბრძანებით იკისრაო.—მუკდენის პროვინციაში რამდენიმე ათასი მეამბოხე მივიდა კაიფუნს; ხუნანის პროვინციაში მეამბოხეებმა ათი მილის მანძილზე ტელეგრაფის მავთული გააფუჭეს.

ველა და ის იყო ამის შემდეგ ჯვარი წერია მის ლოცვებს. არა, ძმაო, გინდა ნაცარში ქექავი და დაბრის ლოცვებს რომ ნასწავლი დოსტურების წმინდა ჯობია, ამას აღარ უნდა გოგისუს დაშორდი, მარა სადაა?

არა, შენ იგი არ იფიქრო, დოსტური სადაა. არა, დოსტურის მეტი რაა ხოსატაურში, ოზურგეთში და სხვაგან. მარა დოსტურს ფული უნდა და ფული-კი ჩვენ არ გაგვაჩნია. მერე ფული ფულს ქვია, მატარას გჭირდებიან თუ?

ღმერთმა სიკეთე მიცეთ, მარა ძაან ფულის ძღუვარული-კი ბრძანდებიან იგი დალოცვილი — შვილები. თუ კაკალ თუმნიანს არ შეპირდი (და შეპირებასაც არ აჭერდება, წინდაწინ უნდა ჩაუთვალო) ისე ფეხსაც არ მოიცვლის, თუ გინდა სული გხდებოდეს შენს ტარსა და აგს. ახლა, გთქვათ, მიეცი თუმანი და წაიყვანე, მარა აგერ გზაში შეგხვდა კაცი და გითხრა: ნუღარ აწუხებ დოსტურს, ავათმყოფს შენი ჭირი წაიღოთ. რას ფიქრობ, შეგიბრუნდებს და რამდენიმე ფულს დაგიბრუნებს თუ?—შენც არ მომიკვდე: მიაბრუნებს ჯორს და არხეინად, მართალსავით გასწევს შინისაკენ, ისე რომ ბოდიშსაც არ მოგიხდის. არა, კაი ნაფუძრი-კი მოგა შენ, ღმერთს წინაშე! აწი რა ჯანაბამ დაუკარგა სვინდისი ამ ზოგიერთ ხასიათის კაცებს?!. ან და ეგება თუმანი სხვისთვისაც ისე ადვილი საშოვარი გონია, როგორც მისთვის! ძაან შემცდარა, ასე თუ ფიქრობს!

მარა რამდენი ამისთანა ამბები ხდება გურიაში, ყველა ამაზედ რომ მოგიყვე, როის გავათავებ. შენც, ფიცი, მოგწყინდება ჩემი წიგნის კითხვა და შეიძლება მერე „ბოდავსო", იგიც კი თქვა. დამიჯერე ახლა ამას და მერე თუ ცხადი იქნა, არ დაგრჩება უკაცრავად შენი

მოხიკელა.

ბრბო კარგადაა შეიარაღებული. სერ
უწესოების შიში აქვთ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. გერმანიის „წითელი ჯვ
100 ლოგინს ამზადებს შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად. საავადმყოფო ირკუტსკში გაიმართება. ამას გარდა, რუსეთის წითელ ჯვარს გადასცეს სხვა-და-სხვანაირი მოწყობილობა მატარებლით 200 დაჭრილის წასაყვანად. იაპონიის არმიას ჰქირილობის სახვევ დიდძალ მასალას უგზავნიან და ნებას მისცეს იოკაგამას გერმანიის საზღვაო საავადმყოფოთი ისარგებლონ.

ᲩᲘᲤᲣ („რეიტერი"). ნოგიმ მოისმინა დატყვევებულ რუსის სალდათის ამბავი და წერილი დასწერა რუსის მეციხოვნე ჯარში გასავრცელებლად. ამ წერილში სწერია კუროპატკინის უკან დახევისა და ოიამას წინაშე იმის უძლურების ამბავი. ნათქვამია აგრეთვე, რომ ბალტიის ესკადრა მხოლოდ ეხლა დაადგა შორ გზას და, დასასრულ, მეციხოვნეთ ყურადღებას აქცევენ იაპონელთა სანგრების შეუწყვეტელ წინ წაწევას. სრულ მფარველობას ჰპირდებიან იმათ, ვინც მტერს დაჰნებდება. რამდენისამე რუსულად დაწერილ წერილის პირი იმ ტყვეს მისცეს, რომელიც 22 ოქტომბერს თავისიანებთან წავიდა და იმ ღამესვე დაბრუნდა. ის ამბობს, ციხის სულიერი მდგომარეობა ისეთია, რომ, მიუხედავად მძიმე გასაჭირისა, ფიქრადაც არ უნდათ გაიტარონ მტრის დანებებაო.

ᲩᲘᲤᲣ, 27 ოქტომბერი („რეიტერი"). პორტ-არტური! იერიში შესწყდა. წართმეულ სიმაგრეებზე ზარბაზნების დადგმას მეცადინეობა რამდენადმე მოახერხეს, რადგან რუსის ზარბაზნები საშინლად ესროდნენ ყუმბარებს. რეიდზე მდგომი „ბაიანი" სერიოზულად დაზიანდა ხუთის დიდის ყუმბარისაგან.

ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲙᲘ („რეიტერი"). 23 ოქტომბერს ხიროშიმიდან, სიმონოსეკიდან და მოჯიდან დალნიში გაიგზავნა ნოგის არმიისათვის ორი დივიზია, რაცხვით 40,000 კაცი. ეს ჯარი შეავსებს იმ დიდ დანაკლისს, რაც იაპონელებს მიკადოს დაბადების დღეს მოუვიდათ. ამ დღეს 20,000 კაცამდე დაჰკარგეს.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲐᲘᲓᲘ. რუსეთის საგენერალო კონსულს თათბირი ჰქონდა სუეცის არხის მმართველთან და უმთავრეს წარმომადგენელთან და დამამშვიდებელი საბუთები მიიღო ინგლისის ფლოტის შესახებ. კონსული კაიროს გაბრუნდა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 415 ხმით წინააღმდეგ 141-სა პალატამ თანხმობა გამოაცხადა სამართალში მისცეს დეპუტატი სივეტონი.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. სტეტს სეკრეტარმა ჰეიმ ცნობა მიიღო მექსიკის მთავრობისაგან, რომ მზადა ვარ შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკება დაიწყოს სამედიატორო სასამართლოს შესახებ ხელშეკრულობაზე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
27 ოქტომბერი

ᲛᲣᲙᲓᲔᲜᲘ, 27 ოქტომბერი. გუშინ მუკდენში მოვიდა მანჯურიის პირველ არმიის უფროსი ინფანტერიის გენერალი ლინევიჩი. დახვდა მთავარ-სარდლის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 26 ოქტომბერი („ცენტრალ ნიუსს"). ხაზინის მიერ გამოცემულ ხუთ პროცენტიან ბილეთების შეძენის მსურველი სამჯერ მეტი აღმოჩნდა. გამოცემულია 8 მილიონ იენის ბილეთი.

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ. პრიამურის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის დროებით ასრულება დაევალა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს ანდრეევს.

ᲛᲐᲚᲢᲐ, 26 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფი"). გიბრალტარიდან მოვიდნენ ინგლისის სამხედრო გემები: „ლონდონი", „ფორმიდაბლი", „დიანა" და „მინერვა". რუსის ფლოტი არა სჩანდა. ფიქრობენ, რომ ამ ფლოტმა დღეს მალტის წინ გაიარა.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲝᲙᲣᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ („დეილი ტელეგრაფი"). ზარბაზნების განუწყვეტელი სროლაა. რუსისა და იაპონიის ჯარი ისე ახლოა ერთმანეთზე, რომ ვერ წაუღიათ თხრილებთან მოკლულთა გვამები. ზარალი ამ ბოლო დროს დიდი არ არის. ცვლილება არ მომხდარა.

ᲒᲔᲜ. ᲜᲝᲒᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ, 26 ოქტომბერს. კრეისერ „ბაიან"-ს 8 დიდი გაუბიცის (დიდის ზარბაზნის) ყუმბარა მოჰხვდა 8 ათას იარდის მანძილიდან. კრეისერი დაზიანდა.

ᲙᲐᲝᲞᲐᲜᲫᲘ, 26 ოქტომბერი. ტიანძინიდან ატყობინებენ „დეილი ტელეგრაფ"-ს: ხმა დადის, როცა ბალტიის ესკადრა ჩინეთის ზღვაში მოვა, ის რუსის გემებიც, რომლებიც ეხლა ნეიტრალურ პორტებში დგანან, ესკადრას შეუერთდებიანო. ამბობენ, ეს გემები ეხლა თითქმის სრულად შეაკეთეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ბრძოლისათვის მზად იქნებიანო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 25 ოქტომბერი. „სტანდარდ"-ი იუწყება: დღეს ბოსფორზე ორმა რუსის სატრანსპორტო გემმა გაიარა; აქაური რუსის საზღვაო აგენტი პორტ-საიდს წავიდა.

სის კონსულმა
ამდენიმე დიდი ჯონკა იყიდა და [illegible] გემი უტვირთოდ გაგზავნა პორტ-არტურს. რუსის არმიის მდ. შახეზე მაშველი ჯარი მოუვიდა; ეხლა რუსებს 300 ათასი კაცი ჰყავთ და 1200 ზარბაზანი აქვთ.

ᲢᲣᲜᲘᲡᲘ, 27 ოქტომბერი. ბალტიის ესკადრის რამდენიმე ჯავშნიანმა გემმა ტუნისის ახლოს გაიარა.

ᲚᲝᲕᲘᲩᲘ, 27 ოქტომბერი. საიმპერატორო მატარებლის მისაგებებლად მოვიდნენ ლოვიჩის სადგურზე: ვარშავის გუბერნიის თავად აზნაურთა დეპუტაცია რაძივილის მეთაურობით; 18 ვაჭარი—სახლის პატრონები პრეზიდენტ პოდოლშიცით; ლოვიჩისა და სკერნევიცის მაზრებიდან 101 ლომის ხაგრო ტანისამოსში გამოწყობილი გლეხი 8 მამასახლისით. სადგურზე თავი მოიყარეს: ადგილობრივ სასულიერო და სხვადასხვა სასწავლებლის მოწაფეებმა, საქალაქო სკოლების შეგირდებმა, ცეხების [illegible] რიგებმა და მრავალმა ხალხმა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ოქტომბერი

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. სერბიის მეამბოხენი, კრიგორის მეთაურობით, პირველად გედესის ახლოს შეხვდნენ ოსმალეთის ჯარს, რამაც აქ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საზოგადოდ ფიქრობენ, შესაძლებელია, რომ ბოლგარიისა და სერბიის კომიტეტები შეერთდნენ. სამხედრო მინისტრი ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებს. ახალ მინისტრის არჩევა გაძნელდება, რადგან არმიაში განხეთქილებაა.

ᲐᲑᲝ. სასამართლომ დაადგინა, 23 ნოემბრამდის გადადოს შაუმანის საქმის განხილვა და შაუმანი საპატიმროდან განთავისუფლდეს.

27 ოქტომბერი

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. ოფიციალურად უარჰყოფენ ამბავს, ვითომ სამხედრო მინისტრი მეტნიკი სამსახურიდან გადამდგარიყოს.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. იმპერატორმა ფრანც-იოსიფმა უბოძა ზინოვიევს დიამანტის პირველ ხარისხის ორდენი. ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად უმოწყალესად უბოძა ბარონ კალიცეს წმ. ანდრიას პირველ წოდებულის ორდენი.

ᲐᲡᲮᲐᲑᲐᲓᲘ, 27 ოქტომბერი. დილის 7 საათზე მძლავრად იძრა მიწა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. რუზველტი დიდის ხმის უმეტესობით ისევ არჩეულ იქნა შეერთებულ შტატების პრეზიდენტად.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ბოლგარიის ახალ სატასმოვნო ტარიფი სახალხო კრებას წარუდგინა და დაამტკიცებენ. ამის შემდეგ მოლაპარაკება დაიწყება სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობის თაობაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,85
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,25
ბერლინისაზე "	46,25
პარიზისაზე "	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	6-7 1/2%
4% სახელმწიფო რენტა	91 7/8 გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	416
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266 1/4
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89 5/8
4 1/2% გირაგ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
5% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირაგნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. მანთაშევისა და ამხ. აქცია	240 "

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

(6 ს.

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ᲑᲐᲥᲝ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲘ

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   დია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—7 "
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   დია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—9 "
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 13
   დია არის დილით —2 საათ.
   " საღამ. 5—8 "

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთ. ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი გუდაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქ., სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პეტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლებში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულბუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ი. ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლოუბტისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ქუთაისში
კბილის ექიმი
ᲓᲐᲕᲘᲗ Ს.-ᲫᲔ ᲠᲘᲥᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ, საღამოს 5—7 საათ. (30—3512—52)

გამოვიდა და იყიდება
ᲒᲜᲐᲢᲔ ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ
(ინგოროყვა) სრული თხზულება.

იგნში მოთავსებულია ჯერ არსად დაბეჭდილი ისტორიული რომანი „ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ", 1 სხვა-და-სხვა მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, ვრცელი კრიტიკული განხილვა ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡᲐ, მოკლე ბიოგრაფია, დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები და სხვა-და-სხვა წერილები ეგ. ნინოშვილის შესახებ და ავტორის სურათით.

მსურველთ შეუძლიან მიმართონ წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში. (10—5—8)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ფრანგების ქუჩაზე, საეკლესიო სახლებში 15 ოქტომბრიდან გაიხსნა საუკეთესო ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ, რეოთახით სტუმრებისთვის, საუკეთესო სამზარეულოთი ყოველ გვარი საჭმელებით.

აქვე შეიძლება ცხენების დაბმა, რისთვისაც მომზადებულია კარგათ მოწყობილი თავლა. (4—5—3)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ
სასტუმრო ᲐᲠᲙᲐᲓᲘᲐ ნომრებით
(ᲧᲝᲤᲘᲚᲘ „ᲘᲐᲚᲢᲐ")

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, [illegible] მედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible] და ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—63)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲘ
Ი. Ნ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე ᲛᲡᲬᲠᲐᲤᲚ, ᲙᲐᲠᲒᲐᲗ და ᲓᲠᲝᲖᲔ მზადდება. ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘᲐ. ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—4

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
ᲙᲘᲝᲡᲙᲨᲘ,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთმა ბახნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	30
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲜᲝᲔ ᲝᲑᲨᲩᲔᲡᲢᲕᲝ
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემთხვევათა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000); ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელშეუხებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგიერად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და გერბულ [illegible] გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვეულისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ჰქონდა დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების გამგეობა იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა ტფილისში, გოლოვინის პრ., ოქრუაშვილის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—40)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ
„ᲨᲠᲝᲛ"-ის

საბჭოს პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ და აგრეთვე ყველას, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად და ან ინტერესებს ამ საზოგადოების გარემოების შეტყობა, რომ კვირას, 7 ნოემბერს ამა წლის დილის 10 1/2 საათზედ დანიშნულია საზოგადოების კრება ქუთაისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. (6.—2)

Дозволено цензурою, 27 октября 1904 г.
სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა.
Электроп. „Груз. Изд.—Тва".